


J 364  
2



გამოცემა ალ. არაბიძისა № 3.

ს ა ს ს ო ვ რ ა ღ  
50 წ. ქართ. თეატრის არსებობის გღუსაშარისად  
თბილის — ქუთაისში

792/

5 1850  
1900 0

ქართული თეატრის

(მეცნიერება)

063.

2 1900 წ.  
იანვარი

თბილისში და ქუთაისში

063.

83.

63.

Типо-Литографій Н. Гамрекелі Кутаіს

1900

Доз. Цеізурою. Тифліс, 25 .лив 1900г.

წ ე ლ ი

ქართული თეატრისა

თბილის—ქუთაისში

1850—1900

შენიშვნები.

1900 წელს, 2 იანვარს, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, შესრულდა ორმოცდა ათი წელიწადი რაც პირველი წარმოდგენა გაიმართა ქართულს ენაზე და ამითი თვალთ დაუნახავი, მაგრამ თურმე საფუძვლიანი საძირკველი გაცსკვნა ქართული სახიობის საქმეს. ამიტომაც ურიგობა არ იქნება ცოტათი თვალი გადავავლოთ ჩვენი სცენის ზოგჯერ საამოს და ზოგჯერ მწარე წარსულსაც და გავიხსენოთ მოკლეთ მაინც თუ ჩვენს ორს დედა ქალაქში თბილის-ქუთაისში როგორ ხან ჯახრიყით და ხან მტკიცე ნაბიჯით მიღიოდა ეს ერთი უმთავრესი ფაქტორი ჩვენი განათლებისა.

თეატრი, წარმოდგენა, ანუ უკეთ გამოჩვენება ქართველებს, როგორც ყველა სხვა კულტურულ ხალხებსაც, უწინაც გვქონდა, განსაკუთრებით იმ დროებში, როდესაც ქართველებსაც გვეძგა ერთ წოდებული „ოქროს ხანები“ მაგ. მირიანისა, დაწით აღმაშენებლისა, თამარ შეფის და სხვა 1)მე XVIII საუკუნეშიც ყოფილა რაღაც მაგვარი ანუ სურაილი მაინც ოქროს შექმნისა, 2. მაგრამ რაյი მაშინდელი დრო მეტად აწერილი იყო სხვა ბევრთა შორის, ამ საქმესაც დამკვიდრება ალარ ელირსა, თქმა არ უნდა ეს გამოჩვენებანი არ იქნებოდნენ ისე გაწესრიგებული და მოწყობილი როგორათაც ამ დროის კაცებსა ჯვაჭეს წარმოდგენილი საზოგადოთ სასცენო ხელოვნება. სამწუხაროთ დრო და ადგილი არ გვაძლევს ეხლა ნებას რომ აქვე შემოვკრიბოთ ის მეტად მცირე ისტორიული ცნობები. რომელებიც უსულოთ დარჩენილი იქნება ზემოხსენებულ გამოჩვენებათა შესახებ, მაგრამ ამას იმედია გამოგვრკვლევენ ჩვენი არქეოლოგ-ისტორიკოსები და შეიძლება ჩვენც ოდესმე დაუბრუნდეთ ამ საგანს; ეხლა-კი მხოლოდ ეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ წარმოდგენებს თუ გამოჩვენებათ ჰქონდა უთულდ იკივე ხასიათი და ელ-

1) იხილე თავ, ნიკოლოზ დადიანის სიტყვა „საქართველოს კალენდარი“ 97 წ.

2) იხ. „ქართული თეატრი“ ვალ. გუნიასი.

ფერი, როგორათაც სხვა ქვეყნებში და წააგავდა ევროპიულ მისტერიებს, სამღვაო წერილიდგან გადმოღებულებს და საზოგადოთ ჰქონდა იმ წარმოდგენებს შინაარსი საღვთის-მეტყველო და ფილოსოფიური. მართალია ამ ძეველ სათეატრო ხელოვნებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა ჩვენი ეხლანდელი სკენის შექმნაზედ, მაგრამ მაინც საჭარია ვიცოდეთ, რომ უწინაც გვქონდა სახალხო გამოჩვენება, საჯარო წარმოდგენის გვარი რაღაც. გავლენა და ზედ-მოქმედება რომ ვერ ექმნებოდა ჩვენი ახალი სკენის შექმნაზე ძეველს ჩვენსავე სათეატრო ხელოვნებას, ეს რასაკვირელია მით აიხსნება, რომ XIX საუკუნის ჩვენი ქვეყნის ბელ-ილბალი ისე განუსხვავდა ძეველს, რომ ძეველებური ქულაჯა ახლათ შეძენილს, გახამებულს პერანგს ზედ ვერ უხამდებოდა. ერთის სიტყვით იმდენათ დაშორდა ძეველი ახალს, რომ ერთი ერთმანეთის მსგავსება აღარაფერში იყო, თვით ენაშიაც კი თითქმის; ამისათვისაც ძეველებურ ცხოვრებისაგან წინ-წამოყენებულ, საგნებს ახალი ვერ განაგრძობდა, ვერც განავრციობდა და ვერც მიუღებოდა. სულ სხვა დრო იდგა XIX საუკუნის, დასაწყისს, სულ სხვა სიო უბერავდა ჩვენს ქარყანის და ძეველი ძაფი მოქმედებისა, წინ მსვლელობისა, შემწყდარი იყო, ეხლა სულ სხვა გვარად ფხიზლდებოდა ქართველის გონება და

სულ სხვა გეარ უნდა დაეტრიიალებინა მისი ცხოვ-  
რების ჩარხი, რომლის ერთი სახელური დასატრიია-  
ლებელი—ეს იყო: თავის თავის ცნობა, თავის თავის  
შეგნება—უსათუოდ მასაც ხელში ჰქონდა შერჩე-  
ნილი, ამიტომაც იგი გამოეყო ძეელს და „იწყო  
სხვა გზითა რონინი“. ეს გზა იყო სხივით მოფენი-  
ლი, თან ეკლიანი, მაგრამ მაინც გაშუქებული. ამ  
გზაზედვე გამოჩნდნენ ისეთი მოწინავენი, როგორა-  
თაც გრ. ორბელიანი, დიმ. ყიფიანი ნიკ. ბარათა-  
შვილი, და მათ წინა ვითარცა მოღვაწე და შემქ-  
მნელი ორის დიდი ორგანოსი, უურნალისა და თე-  
ატრის თავი. გიორგი ერისთავი. პირველი სულის  
ჩამდგმელი ჩვენის ახალის და თანამედროვე ევრო-  
პიულ კილოზე მომართული თეატრის, როგორც  
ყველამ ვიცით, ეს ჩვენი საყვარელი მგოსანი და  
სახელოვანი მოღვაწე იყო. საბედნიეროთ გარემოე-  
ბამაც ხელი შეუწყო;—თავ. ვარანცოვის დახმარება  
მეტად დიდი წელი იყო ისეთი უსუსურ საქმისა-  
თვეს როგორათაც ქართული თეატრი იყო მაშინ  
და სხვა ისეთი თავშივე თანაგრძნობა და სიყვარუ-  
ლი რომ არ გამოეწვია ამ საგანს ზოგიერთ შეგნებუ-  
ლებთ შორის, მარტო ეს წელიც კმარიდა საქმის  
ფეხზე წამოსაყენებლათ. აგრეც მოხდა და სანამ  
ვარანცოვი ჩვენს ქვეყანაში ნამესტნიკათ ბრძანდე-  
ოდა, როგორათაც ვუწყით, მარჯვეთაც მიღიოდა

ქართული სკუნის საქმე, თუმცა ეს ხანა, სამწუბა-  
როთ, არ ყოფილა ისე ხან-გრძლივი. 1850 წლიდ-  
გან 1855 ამდის, როდესაც კარანტონი გადაიყვა-  
ნეს კავკასიონგან, ქართულ დასს ჯამაგირი მოუსპეს  
და თავ. გიორგი ერისთავმაც თავი დაანება ქარ-  
თულ თეატრის გამგებლობას. ვ) ჩვენი ძველი მო-  
ლვაწე ბ. კერძესელიძე მოგვითხრობს თუ შემდეგ  
გიორგისა მისი თაოსნობით როგორ ღონლი-  
ლით მიღიობა წარმოდგენები, როგორ ცოტა  
ხალხი ესწრებოდა და ისიც უფრო წვრილმანი და  
დაბალი ხალხი 4 რომ შემოსავალი ხარჯს ვერ ჰფა-  
რავდა და ბოლოს მაინც თვითონ დავალიანებული  
დარჩია, დასი გაფანტული და მისი ხარჯით შეკეთე-  
ბული დარბაზი შეჩერიანოვისა დეკარაციებ-ავეჯ  
გაფუქვნილი მოვალეებისაგან. ასერომ სხვაგვარათ იყო.  
ქაროული თეატრის საქმე ვარანტოვისა და გიორგის  
შემდეგ ბ. კერძესელიძის ხელში, ის საქმე რომელიც  
ეგეთი სიმკვარცხლით დაარსდა და პირველ-ჯერ  
ეგეთი თანა-გრძნობა გამოიწვია ქართველ საზოგა-  
დოებაში, თუ არა და გადავხედოთ ერთჯერ კიდევ  
პირველი ქართული წარმოდგენის აფიშას. წარმომ-  
დგენელთა სიით უფრო ნათლათ გავითვალისწინე-  
ბთ თუ რამდენათ საფუძველიანი იყო მაშინდელი

3) „გიორგი ერისთავის თხ. ი. მეუნარგიას წერილი.  
4) 3 უმიკაშვილის წერილი, „ჩვენი თეატრის თავ-გადასავალი—„, ივე  
რია, № 209—213 5) გ. ერისთავის თხ. ი. მეუნარგიას წერილი

თანაგრძნობა ახალი საქმისადმი:

თბილისის გიმნაზიის ზალაში, ქალაქის ღარიბ ხალხისა თვის, ორშაბათს 2-ს იანვარს 1850

შელსა, წარმოდგენილი იქმნება:

I

## მისეილ ღა ქონტინე

(ფრანცუულად)

ითამაშებენ: თ. დუნდუკოვ-კარსაკოვი, ბარონესსა  
შეინდორფ, მინჩავი ღა ბაშმაკოვი. შემდეგ წარმო-  
დგენილი იქნება პირველჯერ ქართულად:

II

## გ ა ყ რ პ

ქამედია სამ მოქმედებად, თხზ. გ. ერისთავისა.  
მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ . . . . .	თ. ილ.	ორბელიანი
პავლე ძმა მისი . . . . .	თ. ოქ.	ერისთავი.
ივანე . . . . .	ღ. ი.	ყიფიანი.
კრეინა მაკრინე . . . . .	გ. ანდრეევსკისა.	
კნიაჟნა ნინო . . . . .	კნ. ა.	ორბელიანისა.
შიკირტუმ გასპარინი . . . . .	თ. გ.	ერისთავი.
თათელა ცოლი მისი . . . . .	კნ. ქ.	ორბელიანისა.
შუშანა, ქალი მათი. . . . .	კნ. ან.	ორბელიანისა.
თავადი რამაზ, სეკურეტარი . . . . .	გ. ა.	შანშიევი.
თავადი ბარძიმ . . . . .	თ. ა.	ერისთავი.

ბარამ მოურავი . . . . . თ. ნ. ერისთავი.  
გაბრიელ . . . . . მ. გ. ჭალავევი.  
იშტრელი . . . . . თ. გრ. ერისთავი  
ყარდაშვერდი . . . . . კნ. მ. ერისთავისა.

ამ პირველჯერ ქართულად წარმოდგენის შემ-  
დევ გავიდა ნახევარი საუკუნე. ამ ხელად ქართვე-  
ლობა დღესაც წაულობს ამ წარვლილ ტროს თავის  
მშობლიური სცენისას და რა განსხვავებას ვხდავთ  
იმ პირველ დღესა და ეხლანდელს შორის? მართა-  
ლია ნახევარი საუკუნე თითქმის არაფერია იმისათ-  
ვის, რომ რომელიმე სახალხო საქმე გამაგრდეს,  
აღორძინდეს, შექმნას თავისი ტრადიციები, თავისი  
ფერი, კილო, ერთის სიტყვით თავისი ხატება, მაგ-  
რამ ამ ბოლოს დროს ცხოვრება ისეთი სისწრაფით  
მიიღოტვის წინ საზოგადოთ ყოველგან, რომ სა-  
ნახაობა, სანახაობასა ცვლის, თოთქოს ეჩქარება  
კაცობრიობას მაღლე მიაღწიოს ჯერ ჯერობით მიუ-  
ღწევნელს მიზანს და „შემოჭიდოს პირ-და-პირ ხელი  
შეუჭრელებელსა და შეუხამებელს შიშველ-მართალ  
კეშმარიტებას, თქმა არ უნდა ესეთ ციება ცხდლე-  
ბიან წინსწრაფებას, რაც უნდა „მდორეო“ მიდიო-  
დეს ჩვენი ცხოვრება, მაინც ვერ აცდება საზოგა-  
დო აქტორებულობას და თითო ტალღა მასაც წაჰ-  
ქრავს ხოლმე მუჯლუგუნს წინისკენ, ამიტომაც  
ჩვენშიაც ბევრი რამ იცვლება და მით უფრო ამ-

ორმოცდა ათი წლის განმავლობაში. რასაკვირვე-  
ლია ეს ცვლილებანი ხელოვნებასაც დააჩნდება ხო-  
ლმე და აჩნდება უფრო ცხოვლად, უფრო რელიე-  
ფურად როგორათაც, სხვა ლირსებების გარდა,  
გამომხატველს თანამედროვე ცხოვრების ვითა-  
რებისას, მაგრამ სანამ ესე შევაღარებთ წარსუ-  
ლსა და აწმყოს ქართული სახიობისას, განამ ვავი.  
სსენოთ კიდევ თუ ბატონ კერძესლიძის ხელ მძღვა-  
ნელობის შემდეგ როგორ მიღიოდა ჩვენი სცენის  
საქმე. იმ დროში ქართული თეატრის საქმე, რო-  
გორათაც ამას მოწმობენ ბ. ბ. თუმანიშვილი, ნ. უმი-  
კაშვილი და გუნია, თავიანთ წერილებში, მხოლოდ  
სცენის მოყვარულების და გიმნაზიელების ხელში  
იყო, რომელნიც მხოლოდ თავისა და ახლობელ  
ნაცნობების გასართობათ მართავდენ საშინაო წარ-  
მოდგენებს. თუმცა 1856. — 1861.წ. ესრეთი წარ-  
მოდგენის პაჭანებაც არსად იყო თურმე. შემდეგ  
1861-სა კი 1879-მდე მაინც უბინაო და უნიადავო-  
ნი იყვნენ მელპომენის მაშინდელი შემთხვევებით  
ქურუმები, 77-78-ში კი შესაღვა უფრო მჭიდრო  
წრე, ერთი კი არა ორიც და ხელახლავ მოწიფელა  
ის აზრი, რომ ქართული სცენა დამკვიდრებულიყო  
სამუდამოთ და გაჩენილიყო სამუდამო დასი, მოწ-  
ყობილი და გაწეს-რიგებული, იმგვარად როგორა-  
6) გ, თუმანიშვილი „ქართული თეატრის საქმე“, 79, წელ

თაც ამას მოითხოვდა თანამედროვე სასკრინო ხელოვნება და როგორათაც კი ეს მოწყობა მოხერხდებოდა მაშინ. ამ სამუდამო დასის გაჩენასა და დამკვიდრებაში ბ. გიორგი თუმანიშვილის ლვაწლი უსაცილოა. მან გამოიჩინა ამ საქმის ცოდნა და სიყვარული, გამოიჩინა გერგილი საქმის გაძლოლაში და რა კი მხარი მისცეს ისეთ პირებმა, როგორათაც ბ. დომიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, ნიკო ავალიშვილი, ალ. სარაჯიშვილი, იოს. ბაქრაძე ბძანდებოდნენ. (ესენი იყვნენ არჩეული პირები სცენის მოყვარულთაგან, როგორათაც გამგენი ჭართული სახიობის საქმისა.) თანაც რა-კი მაშინდელ დასში მოხვდენ დღეინდელ დღესაც დამამშვენებელნი ჩვენი სცენისა, ნიკიერი არტისტები ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, საფაროვა-აბაშიძისა. გაბუნიაცაგარლისა, პირველ წელს მაინც საქმე მეტათ კარგათ წავიდა. ხალხის თანაგრძნობაც იქვე მხარში ამოუდგა ახლად ფეხ-ადგმულ სცენას, რეპერტუარიც გაუჩნდა, არტისტების ხალისიცა და მუყაითობაც ზედ დაემარა და საქმე გაჩაღდა, ამ გვარად პირველი ნაბიჯი უკვე გადადამული იყო და საეკვო, მაშინაც კი ითქმოდა, რომ მომავალში აღარაფერი იქნებოდა. სული უკვე ხელ-ახლა შთაბერილი ჰქონდა საქმეს, იგი უკვე ცოცხლდებოდა და მისი სიცოცხლე შეტათ იმედიანი იყო; იმავე დროში

დრამიტიული საზოგადოების დაარსებაც მეტად  
საიმედო თავშდები იყო ქართული სკენის მუდმი-  
ვობისა, წესდებაც ბ. ნ. ნიკოლაძისაგან შეღვენილი  
7, მეტად ფართო ასპარეზს აძლევდა დრ. საზო-  
გადოებას და საქმიანობისთვის ძლიერად მხარს აშ-  
ლევინებდა, ამგვარად ყველაფერი მას მოწმობდა  
და საბუაობდა, რომ ეს საქმე არ მოკვდება, იგი  
გაიზვამს მჭიდრო ფესვებს ხალხში და მისი შემდეგ  
აღმოფხვრა თუ ხალხის გულთან ერთად არა, ისე  
შეუძლებელი იქნებოდა. ასეც მოხდა, მართალია  
ბევრჯერ წაიბორდია ჩვენი სკენის სწორმა წინ-  
სვლამ, ბევრჯერ ჩაიჩოქა კიღეც, მავრამ იგი არ  
კვდებოდა. იგი არც კი იძინებდა დროებითაც ჩვე-  
ნდა სასიხარულოთ. თუმცა როგორც ვიცით, მიძი-  
ნება და მიყრუება საზოგადოთ ქართველების საქმეს  
მეტათ სჩვევია. ეს ჩვენი სკენ-ს უკვდაობა, როგო-  
რც ბ. გუნია სამართლიანად შეჩინავს, იმისი ბრა-  
ლია, რომ თუმცა „ჩვენი სკენა დაიბადა ქვეყნად  
ღარიბად და უწურეოდ, მავრამ სამაგიეროთ დაბადე-  
ბისთანავე გამოჰყევ იმჟენი ნიჭი, სიყვარული და  
გულქველობა, შრომის და ჯაფის ხალისი, მეტადი-  
ნეობა და ჭაპუკისებური იმედი, შეუღრეკელი ხასი-  
ათი და ბრძოლის უნარი, რომ მტერი არ გაახარა  
და მოყვარე არ აარირა“ თუმცა როგორც განაგრ-  
7) 3 უმიკაშვილი: „ჩენი თეატრი თავ-გადასავალი “ივერიის  
გვ. 209-213,

ძობს ბ. გუნია—სამწუხარო და იქნება ხშირად სა-  
საცალოც ყოფილიყოს თეატრის ნაპიჯები... მაგრამ  
მაინც იმდენი უბედურობის და ქაბან-წყვეტის ამ-  
ტანს სამუდამო ქართულს სცენას ერთხელაც არ  
შეუჩერებია და არ გაუწყვეტია წარმოდგენები....  
ავათ თუ კარგათ წარმოდგენები ყოველთვის იმარ-  
თებოდა; თეატრს შეჩვეული ხალხი ცოტათ თუ ბე-  
ვრათ ყოველთვის დადიოდა თეატრში... ამ გვარად  
ხან ჯაგლაგით მიუიოდა და ხან-კი ნითოხარიკო-  
ბია ქართული სამუდამო სცენის საქმე... ასე რომ  
ამ დრომდე მოიყვანა თავისი თავი, დაიცვა თავისი  
არსებობა და ასე თუ ისე შექმნა მუღმივი მსახიო-  
ბნი, შეპყრობილნი მხოლოდ სასცენო საქმითა და  
გაიჩინა მაყურებელი, მსენელი და დაბჭურებელი  
საზოვადოება, თუმცა რიცხვით მცირე მაგრამ მა-  
რც სახეობადოება. ეგევე მუღმივი დაი სხვათა შო-  
როს დაიარებოდა და დაიარება ჩვენს პროგინციებში  
და ამ გვარათ მიყრუებულს მხარეებშიაც შეჰქონდა  
უცხო, „მწვედი კრო“ მშობლოური სცენისა. ამ  
პროგინციებში, რასაკვირველია, უმთავრესი ალაგი  
ქუთაისს ეჭირა მუდამ, მაგრამ ქუთაისსაც თავისი,  
კერძო მოლვაწეობა მიუძღვის ქართული სცენისად-  
მი, მასაც ჰყავდა თავისი სცენის მოყვარულები და  
ეხლა სამუდამო დასიც კი ჰყავს. აი ქუთაისის  
მოლვაწეობაც: პირველი წარმოდგენა გაიშარითა

1865 წელს წარმოდგენილი იყო „შეშლილი“ გ. ერისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სხვათა შორის კნ. კაკელა აგიაშვილის ასულმა (ეხლა თ. დადიანის მეუღლემ) კნ. ევერია ნაფარაძისამ, თ. გიორგი აგიაშვილმა, თ. კონსტანტინე ქაიხოსროს-ძე წულუკიძემ, გრიგოლ მიზანდაროვმა და სხვ ა.

წარმოდგენა გამართული იყო გუბერნატორის სახლში, შემდეგ სამეფო სახლი რომ ეწოდა, იმ აღა-გას საცა ეხლა ოლქის სასამართლო შენდება. სამ-წუხაროდ ვერსად მოვიპოვეთ აფიშა ამ პირველი წარმოდგენისა. შემდევაც იმართებოდა თურმე წარ-მოდგენები სცენის მოყვარეთაგან და უფრო ადგე-ნდენ ერისთვის და ანტონოვის კომედიებს. უფრო პერიოდიული ხასიათი წარმოდგენებმა მიიღეს 70 80 წლებში, როდესაც რეჟისორობდენ განსვენებუ-ლი თ. ანტონ ლორთქიფანიძე და ბ. აკაკი; წარმო-დგენები იმართებოდა ჯერ სამეფო სახლში და შემ-დევაც ხარაზოვის თეატრში, იმ ხანებში იყო შემ-დგარი წრე სცენის მოყვარეთა, რომელთაც შეავდა გამგე კომიტეტი და იგი უძლოდა წარმოდგენების

---

8. აქ მოყვანილი ცნობები გადმოგვცეს შემდეგ პატივცე-მულმა პირებმა: თთ. კირილე და შერაბ ლორთქიფანიძეებმა, კოსტ. გარგანიშვილმა, ნიკო გალრაძემ და სხვა.

ზოგიერთი ზემოსხენებულთაგანი პირველ წარმოდგენას მია-წერს 1859 წ., წარმოდგენილ უნდა ყოფილიყოვთ „გაყრა“. სინტე-რესოა ვისაც კარგათ იხსოვს პირველი წარმოდგენის ამბავი განეთის-ს ასულალებით გააგებინებდეს საზოგადოებას.

საქმეს. ამ კომიტეტში თუ კოპისიაში სხვა და სხვა  
დროს მონაწილეობას ღებულობდენ თ. ანტონ  
ლორთქიფანიძე, უმთავრესი მოქმედი პირი ამ წარ-  
მოდგენების გამართვისა. თ. კირილე ლორთქიფანი-  
ძე, ალექსი ჭიჭინაძე, თ. პეტრე წულუკიძე, მოსე  
ქიქოძე, ივ. მესხი, ივ. ჯაიანი, დ. ნაზაროვი და  
სხვა. მოთამაშეებათ იჩიცხებოდნენ სხვა და სხვა  
დროს ქალებში ეფრ. კლდიაშვილისა, კატო ნიკო-  
ლაძე, ანნა ბესხი (პეტრიაშვილისა,) კნ. ეფემია ნი-  
გარაძისა, ოლგა აბაშიძე, ნინო მალრაძისა, მაკრინე  
ჩიკვაძისა, ევგენია ჩხეიძისა, განგესოვისა, მაშო  
კლდიაშვილი (ძნელაძისა] და სხვ. კაცებში: ანტონ  
ლორთქიფანიძე, თ. დათა ლეონიძე, მიზანდაროვი.  
ზაქ. ჭეიშვილი, თემურაზ ლეგავა, ლაზო ეგნატი-  
ევი, ესტატე იოსელიანი, კოტე მარჯანიშვილი, ნი-  
კო მალრაძე, ა. ქურციკიძე, სვიმონ და ალ. გამრეკ-  
ლები, ნესტორ ყიფიანი, უქვთიმე ჭვილარიძე, ვარ-  
ლამ გაბიჩვაძე. ონისიმე შინდელი, ბესარიონ გაბა-  
შვილი, ანდრია ლულაძე, ზოგჯერ ვ. აბაშიძე და კ.  
მესხიც და სხვ. ამ წრემ 1879 წ. გამართა პირვე-  
ლი წარმოდგენა ხარაზოვის თეატრში და წირმოა-  
დგინეს „მზის დაბნელება“ ანტონოვისა; შემდეგ  
მთელი სამი წელიწადი ე. ი. 83-წლამდის იმართე-  
ბოდა წარმოდგენები თითქმის ყოველ კვირაში თ.  
ანტონ ლორთქიფანიძის და ბოლოს ბ. აკაკის ცა-

ობით. ადგენდენ უფრო ანტონოვის ერისთვის და  
მოლიერის პიესებს. ტანისამოსისაც აკერვინებდენ  
ხოლმე ერთვილაც ფრანგის დიუსის ქალს. ამ გვა-  
რათ დასს თავისი გარდერიბიც უკეთდებოდა. ამ  
წარმოდგენებში სუფლიორიობდენ თურმე თ. კირი-  
ლე ლორთქეთანიდე (რამდენიმეჯერ) ალექსი ჭიჭი-  
ნაძე, პოლივევეტ ჭვიცარიძე, და კარენიანცი. ხარაზო-  
ვის თეატრის გარდა იმავე წრემ წარმოდგენები გა-  
მართა თურმე ცირკის შენობაში, საცა ეხლდა ვიტუ-  
შინსკის აფთიაქია და ზოგჯერ კყრძო სახლებშია. სულ-კი ამ ხანებში 65-დან 83-მდის გაიმართა  
თუ 60 წარმოდგენა: შემოსავალი კი შედარებით  
იმდენი იყო, რომ წვრილშან საოვატრო ხარჯს ფა-  
რავდა და ზოგ-ჯერ მ. ახიობთა დასაჯილდოებლა-  
თაც ყოფნიდა. მაგ. იყო იმისი მაგალითი, რომ ზო-  
გერთი წარმომდვერთაგანი წარმოდგენაზე 30 პ.  
იღებდა გასამრჯელოს. 1883-ს შეძლევა, როდესაც  
უკანასკნელმა ხელ მძღვანელმა წარმოდგენებისამ პ.  
აკაკიმ ანგა საქმეს თავი, პ. კ. მესხმა შემოკრიბა თა-  
ვისთან ზოგიერთნი ამ წრისანი და დაიწყო წარმო-  
დგენების გამართვა.

ამავე ხანებში გამოდის ქართულ სუენაზე მი-  
სი და, პატივცემული მსახიობი ქალი ეფ. მესხი,  
მასვე ეზმარება მისი უნცროსი ძმა, ნიჭიერი მოთა-  
მაშე ისერული როლებისა და საზოვადოთაც სცე-

ნისათვის მშრომელი, დავით მესხი; ამ გვარათ კ-  
მესხი უფრიო გერგილიანათ უძლვება საქმეს, არ  
სპობს წარმოდგენას, ადგენს ისეს პიესებს, რომ-  
ელიც თბილისის სცენაზე ჯერ არც არის დადგმუ-  
ლი (მაგ. „ურიელ აკოსტა“ „ედმონდ კუნი“  
და სხვა) აასუან შემოსავალი დიღი არ არის  
ჭმის გამო დასიც მუდმივი ვერ დაება, წევრები  
ჩამიტან უკლდება ხოლმე, კერძო საქვეებით უფრო  
მოპყრობილი არიან დასში მონაწილენი... 188-წ-  
წუთასის ბულუარში, ხელმწიფის მისალებ პავილი-  
ონის ქალაქმა ააგო შენობა, ეს შენობა შემდეგ კ-  
მესხმა და ნ. გამრეკელმა გადაკეთა თეატრად. იქვე  
დაიწყო კ. მესხმა ლრო-გამოშვებით ქართული წარ-  
შობების გამართვა და თან-და-თან, 90 წლებში  
მაინც, უშადგინა უფრო მცირეო და მკვიდრი წრე  
შახიობთა. საქმეებიც არ მიდის ცუდათ. წარმოდ-  
კენები პერიოდულია; წარმოდგენების გადადება მე-  
ტათ იშვიათია, როგორათაც წინათ ხდებოდა ხოლმე  
პაგ. მე-80-კე წლებში — ერისთვის პედა... თოლისმის  
აანი“ სამჯერ გადადვეს თურქეთის ჰისტორიას წარმო-  
დგენაზე სამი კაციც არ რყოს უდიდესიც შემოსავალიც.  
კვარიანია 9) რადგან რეპერ კურთასა და ხესლია, რასა-  
და მაგ. 90-93 წლ. 180 მ. ნაკლები არ უფრისა. უკეთებზე შეტა  
შემოსავალი განისაზღვრებოდა 350-450 მ. რომელიც ზოგიერთ წარმო-  
დგენებზე იყო ხოლმე. მაგ. „ლონგ-თემურისა ვიჩველ წარმოდგენაზე  
620 მ. ყო შემოსავალი, ეგვიპტე დადი შემოსავალი გორდია, გირ

კვირველია უფრო თარგმანები და მსახიობებიც ასე  
თუ ისე სინდისიერათ ეპყრობიან საქმეს, ერთის სი-  
ტუვით ქუთაისის ქართულ ჟურნალ გაუწინდა დაწ-  
ყობილი სეზონები. ამავე დროს კ. მესხი გასტრო-  
ლებითაც აშვენებს მის წარმოდგენებს (მაგ. ალე-  
ქან-შესიშვილი, კ. ყიფიანი, ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნ-  
ია-კაგარლისა). საქმეს ყოველ მხრივ კარგი პირი  
უჩანს, მაგრამ ჩვენ ხომ ისე ვერ გავიტანთ საქმეს--  
—შიგ გამომხვრელი მლილიც არ ჩაეყოლიოთ. აქაც  
ასე მოხდა. ჩვეულებრივა წვრილმანიბამ შემოაკა-  
ლა კ. მესხს მისი ნოსტი, მაგრამ მტკიცე და გერგი-  
ლიანი დასი და შანაც წარმოდგენებს თავი ანება.  
მით უფრო, რომ იმავე ხანებში დაიწვა მესხის და  
გამრეკელის თეატრი და სეზონის განვრძობა შეუძ-  
ლებელი იყო. ამავე ხანებში ზოგიერთ იმ პირებმა  
რომელნიც კ. ძესხის დაში ერიენ, შეადგინეს ამხა-  
ნავა და დაიწყეს წარმოდგენების გამართვა ხარა-  
ზოვის ძეველ შენობაში. პირველჯერ, რასაკვირველია,  
საქმე ისე რიგიანათ ვერ მიდიოდა. რაღაც დასი  
შეტად სუსტი იყო, პერსონაჲი ნაკლები. მაგრამ  
წარმოდგენები თავის თავად და გასტროლებიანი  
მაინც იმართებოდა და ქუთაისის ქართული თეატ-  
რის საქმე, ასე თუ ისე, მაინც არ კვდებოდა, 95-ში  
ქალაქმა შეისყიდა და გადააკეთა ხარაზოვის შე-  
გარიტი გოტიეს. პირველმა წარმოდგენაზ ეუ. მესხის ბენფისში  
1893 წ. 2 თებერვალს.

ნობა საღაც იმავე წელს წარმოდგენების გამართვა  
დაიწყო „შეერთებულმა ამხანაგობაშ“ 10) თბილის-ქუ-  
თაისის მსახიობებისამ. ამ დროებზე წარმოდგენების  
ხელმძღვანელობდა ვლ. ალექსი-მესხიშვილი. შემ-  
დეგ ქუთაისის პატია ამხანაგობამ მოიწვია ადგილო-  
ბრივი ინტელიგენტები და წინადადება მისცა, რომ  
შემდგარიყო კომისია, მოწვია წევრები, ჩაწერილი-  
ყვნელ .თბ დრ. საზოგადოებაში და ამ საზოგადო-  
10) ამსანაგობაში იყვნენ: მარანიშვაძე, ნიმო ( ჯან-  
ეგი ) მ. მარჯანიშვილი ( სუფლიორი ) მალ. მოლეჭვაძე,  
ქუჯი ( დადიანი ), გ. თუთევირიძე. კ. ქურცივიძე და სხვ.  
ესენია იღებელ შონაწმილებს კ. მესხის დასწი.  
ამსანაგობაში გასწი მონაწილეობირ ქალებში ს. კან-  
დელავისა, ივანიძე, ეგგ. ჩხეიძისა ( უკუ გარდაცვალებუ-  
ლი ), ნინო ჩხეიძე და სხვ. კ. მესხის დროს თამაშო-  
ბირ აკრეთვე: ფ. მეტა, მაშო ჩხეიძე ( უკუ გარდა-  
ცვალებულია ). ნ. მადრიძე, გ. მესხი და შემდეგ ასალი  
გატვანი, რობელნიც აკრეთვე კ. მესხის მერმე ამსანა-  
გობაში შეუერთდება. ესენი იყვნენ: გ. ჩარვაძიანი, ვ გიო-  
რგაძე, ი. აშელაძე, ა. ცყარალაშვილი, გ. ჩარვაძიანი.  
ღრ. კომისიისა და კურმო ანცრებრიზისკ დროს გამოქვე-  
შით სეგონში მონაწილეობა მითელია: შემდეგთ: დ. მ. შ.  
ავალიშვილისა, ნ. ა. გამყრელიძისას, ტ. ანდრონიკაშვი. მშ.  
კ. ყიფაძენს, ვ. გამყრელიძეს, აწყურელს, კ. ბარჯანი  
შვილს და სხვ წლევანდულ სეგონში კა დასწი ითვლე-  
ბიან: ქ. ნინო ჩხეიძე, გ. ივანიძე, გვაცეაძე, მციქანი ცმ  
ალექსანდრე მესხიშვილი მალანჩივაძე, თუთევირიძე. დ.  
ჩარვაძიანი, აშელაძე. გ. ჩარვაძიანი. ჯვარისალი და სხ.

ების სახელით და დახმარებით გაემართათ გაწყვს-  
რიგებული წარმოდგენები, შეედგინათ მწყობრი და-  
სი. ინტელიგენცია დათანხმდა, იკისრა ხელ-მძღვა-  
ნელობა ამ პარტია წრის და თბ. დრ. საზოგადოების  
დასტურით 96 — 97-ში გამართა ჩინებული სეზონი-  
მაშინდელს კომისიაში იყვნენ: კ. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე,  
ილ. ჩიქოვანი, თ. დ. წულუკიძე და სხვ. კომისიას  
ამ წელს ბევრი არაფერი უზარალია და ესეც დიდი  
ნუგეში იყო, რადგან ბ. კ. მესხის კარგად დაწყე-  
ბულ და ცუდაო ჩაფუშულ საქმის შემდეგ ბევრს  
არავის სწამდა ქუთაისის ქართული წარმოდგენე-  
ბის პედ ილბალი. შემდეგ წლებში-კი ვაგ. 97 — 98 წ.  
ისევ თბ. დრ. საზოგადოების კოშისია განაგებდა  
საქმეს, მხოლოდ სხვა პირებთაგან შემდგარი-კი და  
როგორლაც საქმე - ვერ წავიდა სასურველად, მაგ-  
რამ რაღა როგორლაც?? ისეთი საქმის სიყვარული  
და გერგილიანობა ვერ გამოიჩინეს ახალშა წევ-  
რებმა კომისიისამ, როგორათაც წინანდელმა, და  
თუმც სეზონი შემოსავლიანი იყო მაგრამ მაინც საგრ-  
ძნობელი დეფიციტით დასრულდა... ამის გამო დრ.  
საზოგადოებამ უჭიმობავალში აღარ იკისრა საქმის გამ-  
გეობა და ჩვენი თეატრის საქმე კერძო ანტრეპრი-  
ზის ხელში გადავიდა. ანტრეპრენიორები იყვნენ  
98-99 წ. ვლ. ალექსი-მესხიშვილი და გ. თუთბე-  
რიძე. საქმე არ წასულა ცუდათ: დაიდგა 18 წარ-  
მოდგენა, უფრო ახალი პიესები, რასაკვირველია

კიდევ და კიდევ თარგმანები. შემოსავალი იყო სულ  
ოთხი თვეს განძავლობაში(1 ნოემბერს დაიწყო სეზო-  
ნი და გათავდა თებერვალში) 47ჩ ჩ. დაკმაყოფილე-  
ბულ იქნა უკველკვარი ამ სეზონის ხარჯა და მგონი  
წმინდა მოკებაც ცოტა რამ დარჩათ წარმოლგენების  
ხელ-მძღვანელებს. წლევნდ ელ სეზონშიაც ბ. მესხი-  
შვილის ანტრეპრაზა იყო ზარიკორპ სტატისტიკური  
ცნობებიდგან ვიცია გაიმართა 32 წარმოლგენა, შემო-  
სავალი იყო 8914 მ. შარშანლელზე გაცილებით მეტი  
წარმოლგენა გაიმართა და მეტი შემოსავლები იყო

ასე და ამ გვარათ პ0 წელი ჯახრიკ-თოხარი-  
კოპით გაიტანა ქართულმა თეატრმა თბილის-ქუთა-  
ისში! მან ბევრი იცოდვილა, მაგრამ ეს მაინც ქმნა,  
რომ ორივეგან, ამ ჩვენს, ბ. მეუნარგიასი არ იყოს,  
პეტერბურგ—მოსკოვში დაბადა ხალისი და ინტერ-  
ესი ქართული თეატრისადმი, ესეც დიდი საქმეა ჩვე-  
ნისთანა ტაატით მიმავალი ხალხისათვის! ამ 50 წლის  
განმავლობაში ჩვენ ქართულ თეატრს გაუჩნდა და  
გაუკეთდა, თუმცა იმდენათ ორიგინალური არა, მა-  
გრამ მაინც თვალსაჩინო პიესები; გაუჩნდა, როგორც  
ბევრჯერ თქმულა, სხვა ევროპიულ სცენისაც დიდ-  
ათ დამამშვენებელი არტისტები; მან მისცა ამ არ-  
ტისტებს ჯილდო და გასამრჯელო, რასაკეირველია  
ისრე ღირსეული ვერა, მაგრამ მაინც თავ-შესაყო-  
ლებელი გასამრჯელო, გაისტუმრა სხვა წერილმანი

და ოთას გვარი თეატრულური ხარჯი და რაც ყველაზე უკეთესია ამ გვარით მშობლიურ ხცენის სიცოცხლე უზრუნველ და უძინეს ჰყო. კადევ ვიტოზით ესეც დიდი საქმეა, მაგრამ ებლა რაღა ეჭივრება და რა აკლია ჩვენს თეატრს? უწინარეს ყოვლისა მაინც ცა დასაინც შემოსაფალი, ღონე ნივთიერი, ურომლისობაც ეგრე გულ-საკლავათ ატუვია წველა ჩვენებურ საქმეს, მართალია ამის მიზეზი, როგორათაც ბევრჯერ და ბევრისაგან თქმულა, ჩვენი ხალხის სიმყირე და სიღარიბეც არის, მაგრამ მაღლად მაგას ვერ გადავაძრალებთ ჩვენი სცენის ულონობას. ერთი კარგისა დაშეერთებული, მჭიდრო დასის შენახვა ჩვენს ორ დედა-ქალაქს თბილის-ქუთაისს თამაშათ შეუძლია. თუმცა მართალია მაგალითმა დავვანახა, რომ ესრეთი შეერთებული საქმიანობა 96-97,წ. როდესაც ქუთაისშიაც დრ. კოშიტეტი განაგებდა საქმეს და მსახიობებს ხან იქით წაიყვანდა ხან აქეთ აგზავნიდა ჩვენთვის ნააღრი ხილი იყო, მაგრამ რათ ვიქნებით ურწმუნონი? განა არ შეიძლება საქმე ისე დაეწყოს, რომ წინანდელი ნაკლი თავიდან აცილებული იქმნას? ხომ მუდამ ერთსა და იგივე შეცდომას არ გავიმეორებთ? მაშ რამე როგორ გავაკეთოთ თუ პირველმა მაგალითებმა შეგვაშინა? აღვილი შესაძლებელია დრ. საზოგადოებამ ისევ იყოლიოს ქუთაისში ენერგიული კომისია, თავივეგან ერთსა და იმავე დროს იყოლიოს

შეერთებული დასი. მაახიობნიც საჭიროების და გვარად ხან იქ ათამაშოს, ხან აქ; გამორკვეული იქონის ორივე ქალაქისათვის, თავიღანვე რეპერტუარი, შეუხამოს და შეურჩიოს დროსა და დასის ძლის პიესები და ექვევარეშეა, რომ საქმე კარგათ წავა. აღარც ის აჩქარებული მუშაობა მსახიობთა, აღარც ის როლების უცოდინრობა, არც ერთი ესენი აღარ მოხდება, რა კი რეპერტუარი ორივეგან თავშივე აღნუსხული ექმნებათ. პიესები-კი უკეთ დარღვებოდა, რადგან დასი ძლიერი იქმნება და წარმოდგენებსაც უფრო სერიოზული ელფერი დაელება. მართალია, მსახიობნი მეტად თვით-რჯული და თვით ნება ხალხია, სხვა წვრილმანი მხარეც ბევრი აქვს ამ საქმეს იმ გვარი, რომ მათი თავის შევლა ისე აცვილი არ არის. მაგრამ განა სიძნელის შიში ვისმეს გაამართლებს? მით უფრო როდესაც ამითი საქვეყნო საქმე კეთდება!... ესე დაწყობილი დასი, ჩვენის ფიქრით, ორ-ვეგან შემოსავალს მოიტანს, ეთქვათ ერთგან რომ დეფიციტიც ნახა საზოგადოებამ, მეორეგან ხომ არი? საქვეყნო საქმეს ხომ ემსახურა? სეზონი ხომ რიგიანათ წაიყვანა? განა ეს ცოტაა? ჩვენი ხალხის სიმკირე და სილარიბე აქ აღარაფერს შეუში იქმნება. კარგიდ გაწყობილ წარმოდგენას ხალხი გვერდს აღარ აუარს. ეხლა-კი თუ ზოგიერთ კარგ წარმოდგენებსაც არ ესწრება საზოგადოება უფრო

შიტომ რომ პრ ჯერად კარგი ქართული წარმოდგენა, გული გატეხილი აქვს. მაშინ-კი, როდესაც შეამჩნევს საქმე უზღმარ ნიადაგზეაო, ერთჯერ, ორჯერ გაი- გონებს. წაიკითხავს — სანახავათაც მოვა; რომ დარ- წმუნდება კიდევ მოვა, სხვასაც წამოიტყუებს. ამის ცხადი მავალიათი ამ ბოლო დროს ქუთაისია. მართა- ლია ქუთაისში სხვა გასართობი არა არის-რა, სხვა თვატრები და წარმოდგენები, როგორც პაგ. თბი- ლისში, არ არსებობენ და ზოგჯერ შეიძლება ძალა- უნებურათაც წავიდეს ქუთათური მაყურებელი, მავ- რამ თამამათ ითქმის, რომ უფრო ხშირად იგი არ მიდის ძალა-უნებურათ. მას აქვს იმედი, რომ მუნ ესტეტიურ სიამოვნებას მიიღებს, აქვს ნდობა ამწა- რმოდგენებისა რადგან იკის — ასე — თუ ისე, საქმე წესიერათ არის დაყენებული. ამასვე მოწმობს კ. მე- სხის ყო წლების ანტრეპრიზა, ისეთი შემოსავლები რომ იყო, რომლებიც ზევით მოვიხსენიეთ. და განა- თფილისში არ იყო ესრეთი დრო? — ბევრჯერ. —

სტატისტიკურათ შეიძლება დამტკიცდეს, რომ როდესაც-კი დრ. საზოგადოება თუ კერძო ანტეპ- რიზა შემოიზღუდავდა გის გარშემო საუკეთესო არ- ტისტებს, ჩვენი სკოლისას, შეადგენდა ასე თუ ისე მოხდენილს რეპერტუარს, სხვა სააქსესუარო ხარჯ- საც თუ არ დაერიდებოდა, მუდამ-უამ საქმე უკეთ მიდობდა, ვიდრე მაშინ, როდესაც სეზონი, რუსების

არ იყოს, „ცუცთა ყუკავა“ გაჩანჩალდებოდა. ერთის სიტყვით სეზონი იყო იმისთვის, რომ უნდა ყოფილიყო; მაგრამ დღეს ეს აღარ კმარა, დღეს სხვა მოთხოვნილებაც დაიბადა.... მაშასადამე შემოსავლიანობა ამ საქმეში განსაკუთრებით და შეიძლება სხვა ბევრშიაც ისევ და ისევ საქმის ხელ-მძღვანელთა ბრალი ყოფილა. „სიმცირე“ კარგი ხელ მოსაჭიდი არგუმენტია ზოგიერთთათვის, მაგრამ ავრე თუ გავყევით ხომ „ბარემ მოვისპოთო“ იძახაც გავითქიქრებთ! მეორე საჭიროება და ნაკლი ჩვენი თეატრისა, რასაკვირველია, არტისტებია. არა გვყვანან ბევრნი ამის მიზეზიც, თქმა არ უნდა ისევ შემოსავალის სიმცირეა, ჯილდოს სიპატარავეა, მაგრამ ჩვენი ძველებური „კარჩაკეტილობაც“ (ქალების მხრივ მაინც). ჩვენი გემოვნების განუვითარებლობაცაა. არც ჩვენი მსახიობები, ზოგაერთთ გარდა, ცდილობენ თავიანთ მემკვიდრეებზე. თეატრალურ სკოლამდის ხომ ჯერ კიდევ ბევრი მანძილია და მანამ-კი ჩვენი არტისტები, სამწუხაროთ, ივიწყებენ, რომ ჯერ ჩვენი სცენის საქმე პიონერობის ხანიდან კიდევ არ გამოსულა და თვითონაც მოწოდებისაებრ უნდა გაისარჯონ. მართალია, ორი ახალ-გაზდა მსახიობი ქალი, უსაცილოდ ორივ ნიჭიერნი თავიანთ ამჰლუებში — ნინო ჩხეიძე და ლასა აბაშიძე, სანუგეშო ვარ-სკოლავებია ჩვენი ლარიბი სცენისათვის, მაგრამ „ერ-

თი მერკალი ხომ ზაფხულს ვირ მოიყვანს! თუმცა, თქმა არ უნდა. ესეც გამოსწორება, ნაჭი და სურვილი ჩვენში ბეცრია, არც უშრომლობა მოგვდევს მთლად, თუ-კი თვით საქმე ეხლავე თავის საფუძველზე უფრო განძლივადა და უფრო განმყარდა. ერთი ესრული განმამტკიცებული ღონე ჩვენ ზემორე ვუჩვენეთ... მესამეთ კი მას საჭიროებს და ის აკლია ჩვენ სცენას, რომ ორგინალური რეპერტუარი მეტად გაცვეთილი, დაძველებული და ღარიბი აქვა! რა არის მიზეზი? კიდევ და კიდევ, სამწუხაროთ, საქმის ხელ-ძლვანელნი. ნუ ვიტყვით იმას, რომ ახალი ავტორები აღარ მოგვეპოვებათ და ახალი პიესები თუ გაგვიჩნდა მთლად უვარგისნი არიან. მართალია „ჩვენი გლობას“ გაჭირებულება ვერაფერა სასიამოვნო მოვლენაა, მავრამ რა ვიცით რომ გლაბას „კარგიც“ არ მოვეპა? განა კარგის მოსვლამდის უთურდ უნდა ვიტალოთ? ან საიდან უნდა მოვიდეს ეს კარგი? რამ შექმნას იგი, თუ თავშივე ახალ ავტორებს სიხალისე და სურვილი მოუკალით? განა ცოტა მაგალითი ყოველია სხვაგანაც ამისი. რომ პირველათ სუსტი ნაწარმოები შეუქმნიათ და მერე კი საუკეთესო დამამშვენებელი ყოფილი არჩეულის საქმისა? თან და თანობა ხომ ყოველ საქმეშია! ამიტომაც ორგინალურ პიესებს მეტი ყურადღების, მიჭირება უნდა, აღზრდა უნდა. წელის გამაგრება

ეს კი საქმის ხელ-მძღვანელთა და არტისტების ხელთაა, ჩვენი მსახიობნი მეტაც უფრთხისან, სამწუხაროთ, ჩვენებურ პიესებს, არ გვაქვს ეგეთი ფსიხოლოგიური მასალა, როგორიც უცხოელთა პიესებზო. ტიპები ისეთი რთულნი არ არიან. მაგრამ განა თვით ჩვენი ცხოვრება ეგრე რთულია? განა ჩვენი პატია ნაკლი, პატია ლირსება, პატია სულის მოძრაობა ჩვენმა ლიტერატურამ და თეატრმა არ უნდა დაგვისახოს, თვალთ დაგვანახვოს!?

ზემოცსენებული აზრი ჩვენი მსახიობთა, მეტად გადაპრეზილათ მიგვაჩნია. იყვეს სხვებისაც, იყვეს კლასიკური უკულავი პიესები ჩვენს სცენაზე, უმათობა როგორ იქმნება. მაგრამ მეტი ყურადღება ორიგინალებს, მეტი. ეგ უმთავრესი დედა-ძარღვია ჩვენი თეატრის მომავალი არსებობისა!

საზოგადოება მაგასაც შეეჩვევა, ბოლოს მოთხოვნილ ბათაც გბდაექცევა, ამიტომაც იმის შიში, შემოსავალი ჩვენებურ პიესებზე არ გვექნებაო, უსაფუძლოა.... ყველა ამაებთან კიდევ არის საჭირო ის ჩვენი სცენისათვის, რომ ყველას, ჩვენი სახიობისათვის მშრომელს, ესმოდეს თავისი მოვალეობა შეგნებულათ და საზოგადოებაც მეტის შეგნებულობით ეპყრობოდეს საქმეს. აღარ იყოს ძველებური ერთი მეორეზე გადახვევა მიზეზებისა, აღარ იყვეს ერთი მეორის მდურვა და ჩივილი. ამისათვის მშვენიერ რჩევას იძლევა სხვათა შორის ბ.

ზურაბიშვილი „მომბის“ X ქვეში 99 წ. „რა არის  
საჭირო. რომ საქედე გაუმჯობესდეს, რომ ქართულმა  
თეატრმა აიწიოსო? — სულ ცოტა რამეო, პასუხობს  
იქვე, — ყველამ თავ თავისი დაჩემებულიფორმულა დაი-  
ვიწყოს და სხვა ნაირად საჯოსო. მაგ. ნულარ გაიმეორე-  
ბენ არტისტები: „,თეატრში არავინ დაუის და ვისთვის  
უნდა ვითამაშოთ, კარგად როლები რისთვის უნდა  
ვისწავლოთო“? ამის მაგიერათ ასე სთქვან: „,თუმცა  
თეატრში ნაკლებად დაღის საზოგადოება, თუმცა  
ის ჯილდო, რომელიც მე მეძლევა, მეტალ ნაკლებია.  
მაგრამ მაინც ვეცდები კარგად თამაშს, როლების  
ცოდნას, რადგან ამით თუ შემოვიჩვევ საზოგადო-  
ებას და გარდა ამისა კარგად და ხელოვნურად რო-  
ლის შესრულება ხომ მევე პირველს უნდა მაკმა-  
ფილებდეს.,, ნულარ ამბობს თეატრში მოსიარულე  
საზოგადოება „ქართული წარმოლგენები არ გვაკმა-  
ყოფილებენ და რისთვის უნდა ვიაროთ თეატრშიო“  
არამედ სთქვან: „,ვიაროთ, რადგან მხოლოდ, მით  
შევვიძლიან დავეხმაროთ თეატრს და, დახმარება-კი  
საჭიროა მისთვის; ბოლოს ჩვენვე ვისიამოვნებთ,  
როდესაც თეატრი დახმარებით უფრო კარგათ დაყე-  
ნებული შეიქმნება“... ასე და ამ გეარათ ჩვენს ნორჩს  
თეატრს ჯერ კიდევ ნაკლი და საჭიროება ბევრი აქვს,  
რომლის ყველას აქ მოხსენება მოუხერხებელია. მაგ-  
რამ იმედი უნდა ვიქმნიოთ, რომ საქმეს მომავალში

მაინც უკეთ წაუძლვებიან ხელ-მძღვანელნი, ამდენია  
სნის გამოცდილება და მაგალითი უკეთესს გზაჩედ  
გაიყენსთ მათ და თან-და-თანობისა ყოველივე შეს-  
წორდება, ვამოკეთდება. ეხლა-კი მაინც სამაღლობე-  
ლნი და სანახსოვრონი არიან ყველა ისინი ვინაც  
სული ჩაუდგა ამ საქმეს, ვინცგამოაახლა და ფეხზე  
წამოაყენა იგი და ვისაც ცოტად თუ ბევრად მისი  
აღორძინებისათვის უშრომნია. გვეც დიდი საქმე არის  
მათგან გაკეთებული და ჩვენ თუ დღვევანდელი უმ-  
თავრესი ნაკლი და საჭიროებანი მოვიხსენიეთ მიტ-  
ომ უფრო, რომ გვინდა საქმის ხელ-მძღვანელნი  
ესრეთ საშრომათ განტემზადნენ, „ესრეთ სუფევლნენ,“  
თქმულის არ იყოს დრო არ არის თუ?

შ. დ- ნი.

ორმოც და ათი წელი ქართული  
ოფატრისა.

ამ წლის ორ იანვარს ორმოც და ათი წელი  
შესრულდა მას აქეთ, რაც პირველათ იხილა ქა-  
რთველმა საზოგადოებამ ქართული პიესა, ქართვე-  
ლნი მსახიობნი, ქართული წარმოდგენა. ნახევარმა  
საუკენემ გაირბინა აგრე მას აქეთ, რაც ქართველმა  
საზოგადოებამ პირველათ შედგა ფეხი გონებრივი  
და ზნეობრივი წინსვლელობის საწავლებელში—  
თეატრში. რა გაჭირვება გამოიარა ამ ღროს განმა-  
ვლობაში ჩვენმა თეატრმა, რა გააკეთა შან, რა შე-  
სძინა ჩვენ ცხოვრებას, ყველა ამგვარი კით-  
ხვები, მგონია, საყურადღებოა ყოველი ქართ-  
ველისათვის, რომელსაც თავისი ერის მომავა-  
ლი აინტერესებს. ამიტომ, რომ გადავავლოთ თვა-  
ლი ჩვენი თეატრის ბედ-ილბალს ამ ორმოც და ათი  
წლის განმავლობაში, შეიძლება ვიპოვოთ შიგ მცი-  
რე რამ საგულისხმიერო და მომავლისათვის სახელ-  
მძღვანელო ან ყურადღებაში მისაღები.

ადამიანის ორგანიზაცია ისე არის მოწყობილი  
რომ ის ინსტიქტიურათ მიისწრაფის სიამოენებისა-  
კენ, სიამოენება მის აუცილებელ მოთხოვნილებას  
შეადგენს. სიამოენება ორ გვარია: ერთია ხორცი-  
ელი ანუ ფიზიოლოგიური, მეორე სულიერი. მა-

შინ როდესაც ფიზიოლოგიური სიამოვნების მოთხოვნილება ყოველ გვარ ცხოველსა აქვს, განვითარების რა საფეხურზედაც უნდა იდგეს. სულიერი სიამოვნება მხოლოდ აღამიანის საჭიროებათ გამხდარა და ისიც ყველა აღამიანისათვის არა. აღამიანი გონიეროვათ და ზნეობრივათ კარგათ განვითარებული უნდა იყოს, რომ სულიერ სიამოვნებაში საჭიროებდეს. როდესაც ცხოვრება რთული და განუითარებულია, ერთ გონიეროვათ დაწინაურებული, მაშინ სულიერი სიამოვნების მოზოვნილება ერთი და ორი აღამიანის კი არა მთელი საზოგადოების, მთელი ერთს ნიშნობლივ თვისებას შეადგენს. ასეთი ერთისათვის საჭირო ხდება სხვა და სხვა დაწესებულება, სხვა და სხვა საშუალება სულიერი წყურვილის დასაკმაყოფილებლათ. ერთ ამ გვარ დაწესებულებას წარმოადგენს თეატრი, რომელიც განვითარებულმა საბერძნეთმა წარმოშობა, შემდევ გადმოსცა რომს და რომიდან მიღო საშუალო საუკუნოების და დღევანდელმა ევროპამ. ამ დროის განმავლობაში თეატრი სახეს იცვლიდა, ისე როგორც იცვლებოდა თვით ცხოვრება. მაგრამ მაყურებელთა უმეტესი ნაწილი საბერძნეთშიც, რომშიც, დღევანდელ ევროპაშიც ერთი და იმავ მიზნით მიღიოდა და მიდის თეატრში: მას უნდოდა და უნდა სიამოვნება. მართალია, სულიერი სიამოვნების საჭიროება აღამი-

ანის გონებრივათ და ზნეობრივათ განვითარების უტყუარი ნიშანია, მაგრამ ნუ ოუ თეატრსაც კალიერი სიამოვნების მოცემის მეტი არა შეუძლია რა? თუ შედველობაში არ მივიღებთ ბალაგანურ თეატრს, ძველ ბერძნებსაც და დღევანდელ ევროპიელებსაც თეატრი წერონიღა, ახელებდა შათ ცხოვრებაში და ადამიანის გულში, უღვიძებდა სხვა და სხვა გასაკიცხი მოქმედებისადმი სრულვილს, ჰბაღავდა მათ გულში სიყვარულს და მისწრაფებას ყოველგვარი კეთილისადმი და ამ გვარათ აფაქიზებდა და ამაღლებდა ადამიანის ვონებას და ზნეობას. თეატრი ყოველ დროს ხელს უწყობდა ცხოვრებისა და ადამიანის ვაუმჯობესობას: ვალტერმა თეატრი პოლიტიკური იდეების გასაცრულებელ ასპარეზათ ამოირჩია და თეატრის შემწეობით ხელი შეუწყო რევოლუციის მოახლოებას. ამგვარათ ჭეშმარიტი თეატრი სარგებლობს ხალხის სულიერი სიამოვნების საჭიროებით და სიამოვნების სახვევში აწელის შას სხვა და სხვა საგულისხმო აზრს და მაგალითებს. თეატრი, ამ გვარი მნიშვნელობა კარგათ ჰქონდა შეგნებული თითოორო ლა პირს, რომლებიც რიცხვ წლები გარემონტინ ჩვენში. ამ პირთა შორის იყო გიორგი ერისთავიც. ერისთავი როგორც განვითარებით, ისე ნიჭითა და მიმართულებით, გაუკლებით მაღლა იდგა დანარჩენ ქართველობაზე. ჩვენი სახოვადოება მეორმოცვე

წლებში საღათას ძილს მისცემოდა. გონებრივათ  
და ზნეობრივათ ის ძალიან დაქვეითებული იყო:  
მისი ცხოვრება იყო ფუქსავატი, უზნეო, უშინაარსო  
ჩვენი არისტოკრატია ხან-დახან წარსულისაკენ თუ  
გაიხედავდა ხენეშით, თორემ მომავალი მას არც  
აკონდებოდა, არც იზიდავდა; ამ მომავლისათვის ის  
სრულებით არ ფიქრობდა, ის ზრუნავდა. სულიერი  
მოთხოვნილება უმრავლესობას არავითარი არა ჰქო-  
ნდა: ძალზე გაძლობა და ლოგიზზე გაკორება, ლო-  
თობა და ქორ-მექქარი, — აი მთელი მაშინდელი  
ცხოვრების შინაარსი. მხოლოდ მცირეოდენ პირთ,  
და მათთან ერთათ ვიორგი ერისთავსაც. მაშულისა-  
თვის გული შეტკილდათ, მიზნათ დაესახათ ცხოვ-  
რების გაუმჯობესობა. რა საშუალებით შეეძლოთ  
მათ თავისი მიზნის მიღწევა? საშუალება იყო სამ-  
გვარი: სწავლა-განათლება, ლიტერატურა და თეა-  
ტრი. განათლებისათვის ზრუნვა მთავრიობის სრულ  
უფლებას ექვემდებარებდა, ამიტომ მაშულის გუ-  
ლშემატკიცართაც ორი უკანასკნელი საშუალება  
დარჩენოდათ და მათ მრმართეს გ. ერისთავის მეთა-  
ურობით. ქართული თეატრის დაარსება გიორგი  
ერისთავის უძლიერეს საწალელს შეადგენდა, მაგრამ  
ამ საწალელის ასრულებას ბევრი დაბრკოლება ელო-  
ბებოდა წინ. ყველა ამ დაბრკოლების ძლევა თავის-  
თავათ, ხევის დაუხმარებლათ შარტო გ. ერისთავს

არ შეეძლო. დამხმარებელიც მალე აღმოუჩნდა  
ერასთავს — ეს იყო ვარანცოვი, რომელიც 1844  
წელს კავკასიის მმართველათ დაინიშნა. ეს კაცი  
იყო მეტათ პატიოსანი ბუნების პირი, განვითარე-  
ბული გონიერის პატრონი და სპეციაკი აზრების მიმ-  
დევარი. ჩამოვიდა თუ არა საქართველოში. მაშინვე  
შეუდგა მეტადინეობას, რომ როგორმე გამოეფხიზ-  
ლებია ჩეენი ხალხი, აღეძრა მასში საზოგადო საქ-  
მისადმი სიყვარული და მისი კაჯ ჩაკეტილი უდარ-  
დელი ცხოვრება ექროპიულ ცხოვრებათ გარდაექ-  
მნა. თეატრს ის ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლე-  
ვდა და, რადგანაც ქართველი მწერალი არ ეგუ-  
ლებოდა, ამიტომ რუსული ჭარმოდგენების მართვა  
დაიწყო. რას აკეთებდა ამ დროს გ ერისთავი? მას  
სულითა და გულით უნდოდა, თეატრის შემწეო-  
ბით სინათლე შეეტანა ჩეენ ბნელ ცხოვრებაში,  
მაგრამ მისი სურვილი სურვილათვე რჩებოდა ჯერ-  
ჯერობით, მხოლოდ მასი პეტა „გაუჩა“ ხელონა-  
წერი ვრცელდებოდა საზოგადოებაში და ნელანელა  
ნიადაგს უმზადებდა თეატრს. როდესაც ვარანცოვ-  
მა გაივო, ქართველებს საკუთარი დრამატურგიც  
ჰყოლიათ და კომედიაც ჰქონიათო, გადაწყვიტა  
ქართული თეატრის დაარსება და ამიტომ გ. ერის-  
თავის გაცნობა მოიწადინა. ერისთავი ამ დროს  
ხილისთავში ცხოვრობდა. შეიტყო თუ არა ვარან-

ცოვის სურვილი, მყისკე გამოეცხადა მას თავისი  
ხელნაწერით. რადგანაც ვარნცოვი არც გიორგის  
იცნობდა, არც მის „გაყრას“, ამიტომ თხოვა მას  
სცენის მოყვარე ქართველებს მოუყარეთ თავი და  
თფილისის გიმნაზიის სცენაზე 1) წარმოადგინეთ  
თქვენი ქომედიათ. ვარანცოვს ამით უნდოდა, თა-  
ვის თვალით დარწმუნებულიყო, შეეძლო თუ არა  
გ. ერისთავს, რომ ქართულ თეატრს წინ გაძლო-  
ლოდა.

თეატრის მტრებმა ისევ წამოჰყვეს თავი ამ ამბის  
გაგებაზე. ზათში ცველაზე უფრო უშლიდენ ამ საქ-  
მეს ხელს 3. იოსელიანი. რომელსაც თავის თავი  
დიდ ფილოსოფოსათ ჰქონდა წარმოადგენილი, თ.  
რეჯაზ ერისთავი და ბატონიშვილი მარიამი. ესენი  
როგორც ძველ ცხოვრებაში ძველ ზნე-ჩვეულებაში,  
ძველ შეხედულებაში აღზრდილნი, ყოველივე ახ-  
ლის მტერი იყვნენ. 3. იოსელიანი გაიძახოდა: თე-  
ატრი გაგვრყვნის, „მეძავ-კუროვბა“-ს გაგვიჩნისო.  
ამავე აზრისა იყო რევაზ ერისთავი, რომელიც  
ათაუ გვარ ცუდ ხმებს ავრცელებდა, რომ თეატრის  
საქმე ჩაეშალა. ბატონიშვილ მარიამს ხომ ქართვე-  
ლი ქალის სცენაზე გამოსვლა და ჩვენი ერის გარ-  
ყვნა ერთი და ოგივე ეგონა და, რადგანაც მას დიდი  
გავლენა ჰქონდა ჩვენ საზოგადოებაში, ყოველ

---

10 ეს შინაური სცენაც ვარანცოვში გააწყო.

გვარ თანაგრძნობას ახშობდა თეატრისადმი, მაგრამ რაკა ვარანც ცოცხა ჰპოვა საუკეთესო თანამგრძნობელი, გ. ერისთავი გულმოდგინეთ შეუდგა თავისი საქმის განხორციელებას. მისი დიდი ინიციატივის „უზენაესი ნატერა“, ოცნებათ გადასცეული, დღეს სრულდებოდა და განა ის საცადელს-ლა დააკლებდა, რომ საქმე დაეგვირგვინებია?! გ. ერისთავმა შეადგინა სცენის მოყვარეთა გუნდი, შეასწავლა მათ „გაყრა“ და 2 იანვარს 1850 წ. გიმნაზიის პატარა ზალიდან დან დაანახვა ქართულ საზოგადოებას მისი ფუჭქსავატი, უმიზნო, უიდეალო ცხოვრება. აი ის პირნი, რომლებიც პირველად გამოვიდნ ქართულ სცენაზე: ილ. ორბელიანი, ოქ. ერისთავი, ლ. ი. ყიფიანი, ბ. გ. ანდრეევსკისა, კნ. ა. ორბელიანისა, გ. ერისთავი, კნ. ქ. ორბელიანისა, გ. ო. შანშიევი, ა. ერისთავი, ნ. ერისთავი. გრ. ერისთავი, კნ. მ. ერისთავისა და მ. გ. ჭილავევი. მიკირტუმ გასპარიჩის როლს კი გ. ერისთავი თამაშებდა. წარმოდგენას დიდამი ხალხი მოაწყდა. ვარანც ცოცხა ერთობ კმაყოფილი დარჩა. პირველმა წარმოდგმნამ ის დაარწმუნა, რომ გიორგი ერისთავი შეეძლო ქართულ თეატრისათვის შეთაურობა და პატრონობა გაეწია. და აშენებ ერისთავი ხიდისთავიდან თავის ამაღლაში გადმოიყენა, რომ თეატრს მუდამ გვერდში ჰყოლოდა. შალე თამაშოების ქარვასლაში დაასრულდა.

ლეს ახალი თეატრის აშანება და ამ თეატრში ვ მიისი  
50 წელს გაიმართა მეორე ქართული წარმოდგენა.  
ითამაშეს ერთსთავის ახალი კომედია „დავა“, რომ-  
ლის შინაარსიც თითქმის იგივეა, რაც პირველი პი-  
ესისა; შინაარსს გარდა ტიპებიც იგივეა, თუ შეიძ-  
ლება ტიპები ვუწოდოთ იმ მკრთლად და გარეგ-  
ნულად დაზატულ პირებს, რომლებიც ამ კომედი-  
ებშია. საკვირველი ის არის, რომ 3. იოსელიანმა:  
და რევაზ ერთსთავმა, რომლებიც დიდი წინააღმდეგი  
რყვენ ქართული თეატრისა, ამ მეორე წარმოდგე-  
ნაში თვითონ მიიღეს გულმხურვალე მონაწილეობა:  
პირველი თამაშობდა ონოფრეს როლს, მეორე იმე-  
რელ ლომინ გოდობჩელიძისას.

ამ წარმოდგენის შემდეგ ვარანცოვმა გადა-  
წყვიტა, ქართული თეატრი უფრო მტკიცე ნიადაგ-  
ზე დაეყვრებია. ქართველებისათვის სამუდაშო სცე-  
ნა დაეარსებია, მაგრამ ამისათვის ფული იყო სჭი-  
რო. ვარნცოვი მოელაპარაკა გომრგი ერთსთავს,  
მიანდო მას ქართული დასის შედგენა, ორასი თუ-  
მანი მაშინვე მისკა მსახიობთა დასასაჩუქრებლათ  
და წასახალისებლათ და ყოველ წლივ ოთხასი თუ-  
მანი ჯამავირი აღუთქვა.

ოთხასი თუმანი თუმცა დიდ ფულს არ შეად-  
გენდა, მაგრამ ამ ფულით მაშან შეიძლებოდა მსა-  
ხიობების შოვნა.

1850 წ. გაძაფხულზე გიორგი ერისთავი გაემ-  
გზავრა სოფლისაკენ, რომ იქ შეედგინა დასი. ჩვენ  
არ ვიცით რათ მიმართა ერისთავმა სოფელს; ალ-  
ბათ ის ხელავდა, რომ სოფელში არ აღმოუჩნდე-  
ბოდა მის საქმეს იმდენი მტერი, როგორც ქალაქ-  
ში, ამას გარდა სოფელში უფრო იაფათ იშოვიდა  
მსახიობებს.

ერისთავმა რამდენსამე თვეში მოამზადა ქარ-  
თული დასი და შემოდგომაზე ქალაქში ჩამოვიდა;  
წევნი პირველი მსახიობები იყვნენ: ქენი სააკაძისა,  
ტატიშვილისა, ანტონოვისა და ბატემოვისა; ბ-ნნი  
ლვანაძე, ტატიშვილი, რჩეულიშვილი, კორძაია,  
კიკნაძე და ელიოზიშვილი, თფილისში ერისთავი  
განავრდნობდა გამოუცდელი მსახიობების წვრთნას.  
ჭორონცოვი დიდი სიყვარულით ეპურობოდა მათ,  
ხშირათ დადიოდა რეპეტიციებზე; გულს უხალისე-  
ბდა ყველას საჩუქრებით და, როცა გაიგო, რომ  
ოთხასი თუმანი არტისტებისათვის ძალიან ცოტა  
იყო, ასი თუმანი კიდევ მოუმარა ჯამაგირათ. მთე-  
ლი შემოდგომა ემზადებოდა დასი და 1851 წ. 1  
იანვარს გამოვიდა იმავე „გაყრაში“; ამას შემდეგ  
ახალი დასი ვარანცოვმა გადასცა თფილისის თეატ-  
რის დირექტორს. დირექტორი ქართველ მსახიობებს  
გულ-გრილათ ეკიდებოდა, ხელს თუ უშლიდა, თო-  
რემ არ ეხმარებოდა, რუსული და იტალიანური

წარმოდგენების უფრო იზიცავდა ჩვენ სახოვალოებას, ერთი იმიტომ, რომ ჩინოვნიკობა და მხედრობა სულ იქ დალიოდა, შეორე რესული და იტალიანური თეატრი უფრო ამხიარულებდა მაყურებლებს, ამას მიუმატეთ ჩვენი საზოგადოების მოუმზადებლობა, რეპერტუარის სილარიზე და აზვილათ წარმოიდგვნთ, თუ როგორ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო ჩვენი თეატრი. მაგრამ, სანამ ვარანტოვი საქართველოში იყო, თეატრის ისებობას არა უვირდა რა.

1855 წელს ვარანტოვი "საქართველოდგან გარიყვანებს, და ქართული თეატრის ბედ-ილბალიც გადაწყვდა: დას ჯამაგირი აღარ მისცეს, შემოსავალი მას ვერ ინახავდა, გ. ერისთავმა, ველარა გააწყორდა და იძულებული იყო თავის საქმეს გამოთხვებოდა, დასი დაეთხოვა და თავის მამულში, ხიდისთავს, წასულიყო. გიორგის შემდეგ სცენის მოყვარენი კიდევ ცდილობდენ, რომ თეატრი როგორმე წამოეჭენებიათ ზეზე. ამგვარ პირთა შორის ყველაზე მეტი შრომა და ხარჯი კერძესელიძემ გასწია. რან ისესხა ორასი თუმანი, დაიქირავა შარმაზანოვის დარბაზი, გააკეთა ლოეები, პარტერი, მოაწყო სცენა, დააზატვია დეკორაციები და დაიწყო წარმოდგენები. კერძესელიძეს იმედი პქონდა: შემოსავალი იმდენი მექნება, რომ ნახევრით ვალს კისტუმებ

ნაწილ ნაწილათ, ნახევარიც არტისტებს დააკმაყოფილებს, შაგრამ იმედი არ გაუმართლდა: მიუხედავათ იმისა, რომ ნიჭიერი არტისტები ჰყავდა, როლებს კარგათ სწავლობდენ, შემოსავალი არტისტებსაც ვერ აკმაყოფილებდა; ძველი, ვალი ვალათვე რჩებოდა და მას ახალი ემატებოდა. ექვს თვეს აცოცხლა კერძესლიძემ თეატრი, ექვსი თვეს შემდეგ კი მოვალეებმა ყოველისფერი ვალში გაუყიდეს და თეატრის არსებობას ბოლო მოუღეს. დასი დაიშალა, ვალი კერძესლიძეს დაატყვდა. „ჩემი ჯამაგირი სამი წლის განმავლობაში სულ მოვალეებს მიჰქონდაო“, სწერს კერძესლიძე. ამგვარათ ქართულმა თეატრმა ხუთი წლის არსებობის შემდეგ სული დალია. ამას შემდეგ ოცდა ოთხმა წელმა გაიარა, სანამ სამუდამო სცენის დაარსება შესაძლებელი გახდებოდა. ამ ოცდა ოთხი წლის განმავლობაში ხალხი ნელნელა იღვიძებდა და წინ მიდიოდა. ბატონ-ყმობა შოისპო, ევროპული ცხოვრების გზაზე მტკიცეთ შედგა ფეხი ჩვენმა ქვეყანამ. მაგრამ გამოფხიზლება იმდენათ ძლიერი ჯერ არ ყოფილა, რომ საზოგადოების მოთხოვნილებას თეატრი დაებადა: მხოლოთ ხანდახან სცენის მოყვარენი გრძართავდენ ხოლმე წარმოდგენებს თუ კლუბებში თუ კერძო ოჯახებში და ამით თეატრი-საღმი სიკუარულს ნელნელა იღვიძებდენ საზოგადო-

ებაში. ამ დროს განშავლობაში ყველაზე მეტი სამ-  
სახური ჩვენი თეატრისათვის ნ. ავალიშვილს, ან.  
ფურცელაძეს და ა. როინიშვილს მიუძღვისთ. რო-  
დესაც საზოგადოებამ იმდენათ გამოიღვია, რომ  
თეატრის საჭიროება თვით ცხოვრების განვითარე-  
ბამ გამოიწვია; შეადგინეს ამანაგობა: დიმიტრი  
ყიფიანმა, გიორგი თუმანიშვილმა, დავით ერისთავ-  
მა, ნ. ავალიშვილმა, იოს. ბაქრაძემ, ალ, სარაჯი-  
შვილმა, ილ. ჭავჭავაძემ და განიზრახეს სამუდამო  
სცენის დაარსება. მათ შეაგროვეს ფული, დაარსეს  
ტრამატიული კომიტეტი, გამოიკვლიეს ამანაგო-  
ბის წესდება და 1879 წ. 5 სექტემბერს ჩაჰარეს  
საძირკველი სამუდამო სცენისა: ამ დღეს წარმოდ-  
გენილი იქმნა კნ. ბარბარე ჯორჯაძის კომედია  
„რას ვეძებდი და რა ყპოვე“

იქიდან მოკიდებული ოცი წლის გამავლობაში  
ჩვენი თეატრი არ დახურულა; ის თუმცა რყევით  
მიღიოდა წინ, თუმცა ხშირათ განსაკუდელში ყო-  
ფილა ხოლმე, მაგრამ მისი არსებობა უკვე მტკიცე  
ნიადაგზე არის აგებული; ეს მტკიცე ნიადაგი ჩვენი-  
ნი საზოგადოების სულიერი მოხხოვნილებაა. ჩვენი  
ცხოვრება წინ მიღის, საზოგადოების სულიერი  
მოხხოვნილება უფრო იზრდება და ძლიერდება;  
ამიტომ თეატრიც დღიური დღე უფრო საქირო  
ხდება ჩვენთვის და მისი დღეგრძელობა ეჭვს გარე-

შეა. სამუდამო სცენის მეორეთ დაასახებაში ყველა-  
ზე გულ-მხურტვალე მონაწილეობას ღლებდენ დ. ყი-  
ფიანი და გ. თუმანიშვილი. გიორგი თუმანიშვილი-  
არაფერს ზოგავდა. რომ თეატრი მტკიცე ნიადაგ-  
ზე დაეყენებია და დაეწინაურებია; ის ცდილობდა  
რომ თეატრისაუბი სიყვარული სოფელშიც აღ-  
ძრა და ამიტომ დასი სოფელშიც დაჰყავდა ხოლ-  
მე. ამგვარმა შრომაშ ის დაასნეულა, ამას ზედ დაე-  
რთო უმაღურობა და თუმანიშვილი იძულებული  
გახდა ა10 წლის გასულს თეატრისათვის თავი დაც-  
ნებდებია. ამავე დროს დრამატიულმა კომიტეტშიც  
ხელი იიღო თეატრზე და მეთაურობა კ. აბაშიძემ.  
და კ. მესხში იყისრეს. ამ იარ პირს პირველ ხანს  
კარგათ მიჰყავდათ საქმე, მაგრამ მალე თავი დაანე-  
ბეს და თეატრის წინ გაძლოლა იკისრა აკაკიმ.

აკაკის მეთაურობა მეტათ ხანმოკლე იყო, მას-  
შემდეგ მეთაურობას ხან ერთი პირი კისრულობდა,  
ხან მეორე; პატარახანს ისევ შედგა ცრამატიული  
კომიტეტი, მაგრამ მალე დაიშალა. დღეგანდელ  
ჩვენ თეატრს ისევ დრამატიული კომიტეტი განა-  
გებს.

ჩვენ მოკლეთ განვიხილეთ, ჩვენი თეატრის ნა-  
ხევარი საუკუნის ისტორია. მეორე წერილში ვეც-  
დებით, დავანახვოთ მეოთხელს, რას წარმოადგენდა  
ამ დროს განმავლობაში ქართული სცენა, რას აძ-

ლუკია ის ჩვენ საზოგადოებას და რამდენათ უწყობდა ხელს ჩვენი ცხოვრების წინშევლელო ას

წერილი მეორე.

შოველგვარ დაწესებულებას მხოლოდ მაშინ შეუძლია შესაფერი სარგებლობის მოტანა, როცა ის პირდაპირი შედეგია საზოგადოებრივი წინშევლელობისა, როცა ის საზოგადოებას სულიერი მოთხოვნილებით არის გამოწვეული, როცა საზოგადოებას შეგნებული იქვე მისი ძინვნელობა, ჩვენში კი დღესაც მხოლოთ მცირე ნაწილსა აქვს აზრი იმდენათ განვითარებული, რომ საზოგადო კეთილდღეობისათვის იზრუცის, ღირსეულათ დააფარსოს, რა არის ჩვენთვის საზარალო, რა სასარგებლო. რაღა უნდა ყოფილიყო ამ ორმოც და ათი წლის წინეთ? საზოგადოება ადამიანის დანიშნულებას ქეიფსა და ლოთობაში ხედავდა, არავითარი იდაელი არ ასულდებულებდა მის გულსა და გონებას, არავითარი მისწრაფება არ ჰქონდა მას უკეთესი ცხოვრებისაკენ; ანკი საიდან ექნებოდა, როდესაც ის არ იყო იმდენათ განვითარებული, რომ ცხოვრების კითხვებში რკვევა-კელევით ემტვრია თავი! მაშინ არა თუ თეატრით ხალხის გამოფხიზლება და გონებრივათ და ზნეობრივათ ამაღლება იყო ძნელი, არამედ თვით თეატრის დაარსებაც ყოვ-

ლად შეუძლებელი იყო, რომ ვარანც ცოვს არ ეზრუნა; ეს ცხადათ დაამტკიცა ვარონ ცოვის საქართველოდან გადაყვანამ. შეუძლებელი საქმე განხორციელდა: თეატრი დაარსდა,—მაგრამ საქმე იმაში იყო, რთგორ უნდა მოეწვიათ საზოგადოება თეატრში. რა გზით უნდა შეეყვარებიათ მისთვის თეატრი, რომ ცალიერი სიამოვნების გარდა გულისა და გონების-თვისაც მიეცათ რაიმე საზრდო? საზოგადოებას ეძინა, მისი ცხოვრება უზნეო, უმიზნო, უშინაარსო იყო; უნდა დაენახვებიათ მისთვის მისი ნაკლულევანება, რომ მას თითონ შეზიზლებოდა თავისი თავი და ძლიერი სურვილი დაბალებოდა თავისი ბუნებისა და თავისი ცხოვრების გასაუმჯობესებლათო, იტყვის ბევრი. ეს სრული ჰეშმარიტებაა მხოლოთ მაშინ, როცა კარგ მოქმედს კარგი ვამგონი ჰყავს; ჰეშმარიტებაა მხოლოთ იქ. სალაც გართლის მოქმედს შეკაზმული ცხენი არ ჰირდება გასაქცევათ აბა შინჯვეთ და ჩვენ წარსულს, ჩვენ ლიტერატურას, ჩვენ მოღვაწეებს საზრიანათ შეხედეთ, კარგათ ცუდიც დაინახეთ, ეჭვი შეიტანეთ იმაში, ვითომ ქართველები ნიჭით და დიდებული წარსულით ყველა ეროვნებას. არა ვჯობდეთ,—ზაშინვე სამშობლოს მოღალატეთ დაგსახვენ! ჩაღა უნდა ყოფილიყო ამ ორმოც და ათი წლის წინეთ? ჩვენ სცენას რომ დაენახვებია საზოგადოებისათვის მაშინ

მთელი მისი სისაძაგლე, არა თუ ვერავის ვერ გაასწორებდა, პირიქით ყველას გადიმტერებდა; არა თუ თეატრს ვერავის შეაყვარებდა, პირიქით ყველას შეაძლებდა. ამას კარგათ გრძნობდა გ. ერესთავი და ამიტომ ყოველგვარ ლონეს ხმარობდა, რომ ქართველი საზოგადოებისათვის უფრო სიამოცნება შეეძინა პირვნლ ხანებში და ამით შეეყვარებია ოე-ატრი, ვიღრე მისი საკუთარი ნაკლულევანებანი ემზილება. შართალია, გიორგი ერისთავი თავის პი-რელ კომედიას ათავებს შემდეგი სიტყვებით:

მე დასწურე იძაზედა, ვინც ზეობით  
არის მრუდი;

ჩვინც ჩიცადნეთ, და განვდევნოთ რაჯა  
არის ჩვენძი ცუდი

მართალია, ის თავის კომედიებში შეეხო ჩე-ნი არისტოკრატის ცხოვრების ზოგიერთ მავნე და დამლუპველ ელემენტებს, მაგრამ ყოველივე ეს ისე გაქნა სახუმარო გასართობებში, ლათაიებში, ქარ-თულ სომხური ენის საოხუნჯო მოქცევებში, რომ მაყურებლის გულსა და გონებას ველარ მიწვდებო-და და მთელი კომედიის შედეგათ ცარიელი სიცო-ლისა და შხიარულების მეტი თითქმის აღარაფერი დარჩებოდა. „ზეობის სიმრუდის“ გამოყვანა კი-

დეც რ.იმ მისწდომოდა შაყურებლის გულს, მარნც  
ვერ აატოკებდა მას, მაინც ვერ ჩაათიქრებდა, ვერ  
შეაზიზებდა შაყურებელს მის ცხოვრებას. რადგა-  
ნაც ლრმა ფსიხოლოგიური ანალიზი, მწარე, გეს-  
ლიანი სიცსლის აღძვრა გ. ერისთავის ნიჭის თვი-  
სებას არ შეადგენენ. ეს კაცი დაუფასებელია ჩვენ-  
თვის, სამარადისოთ სახსრავარი და სადიდებელი ჩვენ-  
გან, როგორც მამა ჩვენი თეატრის და ჩვენი დრა-  
მატიული ლიტერატურის, მაგრამ მისი კომედიები  
უფრო ვიდევილებს წარმოადგენენ, ვიზრე ნამდ-  
ვილ კომედიებს. რა ლიტერატურის უნდა იყოს მისი  
კომედიები, ისინი მაინც განძს შეადგენენ ჩვენ  
ლიტერატურაში, როგორც პირველი ნაწარმოებნი  
დრამატიული ხელოვნობისა; გარდა ამისა ამ კაცის  
დასაფასებლათ ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში,  
რომ დღემდის ჩვენ ცხოვრებას გ. ერისთავზე უკე-  
თხი კომედიების მწერალი არ მოუცია; თითქმის  
ყველა ჩვენი კომედიები, რაც ამ ორმოც და ათი  
წლის განმავლობაში დაიწერა, გ. ერისთავის ან  
კოპიო არიან, ან მათი ზეგავლენით წარმოშობი-  
ლან. ამ გვარათ ჩვენი თეატრი პირველ ხანებში  
უფრო გასართობი იყო, ვიდრე საზოგადოების აღმ-  
ზრდელი, გონების მწვრთნელი და ზნეობის განმა-  
ფაქიზებელი. ამის მიზეზი იყო ერთი მხრივ ჩვენი  
საზოვალოებრივი განვითარების ძალიან დაბალ სა-

ფეხურზე დგომა, შეორე მხრივ გიორგი ერისთავის  
ნიჭი, რომელსაც მხოლოდ გარეგნულათ და ოხუნ-  
ჯურათ შეეძლო ცხოვრების ხატვა. გიორგი ერის-  
თავის შემდეგ შაშინდელ დრამატურგებში ყველაზე  
ნიჭიერი ცყო ანტონოვა. მაგრამ მის კომედიებს  
ხომ უფრო ან შეეძლო ცხოვრების ლრმათ გაღმო-  
შლა, მაყურებელთა გონებრივათ და ზნეობრივათ  
წრთვნა. გასართობი დაწესებულების სახე ჩვენმა  
თეატრმა ოცი წელიწადი ატარა. სამოცდაათ წლე-  
ბში ჩვენმა ცხოვრებამ შესამჩნევი ბიჯი წაღეუ წინ;  
განათლებული და განვითარებული გონების პატ-  
რონი ახალგაზდები ბლომათ გამოერიენ ცხოვრე-  
ბაში; ჩვენი მწერლობა იყვავდა: ოცი წლის წინეთ  
თუ ერთმა „ცისკარ“, „მაც ვერ ითორჯალა და მხო-  
ლოდ „მურაბისა და უელეს გაკეთება“ და „ბატი  
ძმრითა“ „შესწავლა ქართველ საზოგადოებას, სამო-  
ცდა ათ წლის დასაწყისში ქართულ ენაზე გამო-  
დიოდა: „დროება“, „სასოფლო გაზეთი“, „კრე-  
ბული“ და „მნათობი“. შედგა სხვა-და-სხვა ლიტე-  
რატურული წრები, დაიბადა სხვა-და-სხვა მიმარ-  
თულება, ამან გამოიწვია კრიტიკის აღორძინება და  
განვითარება. საზოგადოების გამოფხიზლებას და  
ლიტერატურის განვითარებას ის შედეგი მოჰყვა,  
რომ გასართობმა თეატრმა ვილარავინ ველარ დაკ-  
მაყოფილა და ხელი მიჰყვეს რუსეთისა და ევრო-

3ის დრამატურგების თარგმანს. გაჩნდენ თრიკინა-ლური დრამატურგებიც, რომლებიც მარტო ლათა-იებით არა ცდილობდენ საზოგადოების შექცევას: გ. წერეთლის „შიბრი“ 72 წ. დაიწერა. როდესაც საზოგადოებამ შეიგნო კეშმარიტი თეატრის ნამ-დვილი შინშენელობა, მაშინდელი საუკეთესო პირე-ბის შროვით კიდევც დაარსდა ჩვენში სამუდამო სცე-ნა, ა სექტემბერს 79 წ. ამგვარათ 70 წლამდე ქართული თეატრი უმთავრესათ გასართობი იყო; ის მხოლოთ სიყვარულს უღვიძებდა საზოგადოებას თეატრისადმი, ნადაგს უმზადებდა ხალხის აღმზრ-დელ თეატრს. თეოთონ კი აღმზრდელობითი შინშ-ვნელობა არა ჰქონდა, შემდევი ათი წლის განმავ-ლობაში თეატრი ცდილობს გასართობ გზას თვეი დაანებოს და საზოგადოების განვითარებას შეუწ-ყოს ხელი. მავრამ მუდმივი სცენა არ არსებობდა და წელიწადში ორი სამი წარმოდგენა დიდ ნაყოფს ვერ მოიტანდა. თავის კეშმარიტ კალაპოტში ჩვენი თეატრი მხოლოთ მეოთხმოცე წლებში ჩადგა და მას აქეთ შეუჩერებლათ იღებს მონაშილეობას ჩვე-ნი ერის ვონებრივსა და ზნეობრივ წინმსვლელო-ბაში. ჩვენ სცენაზე დღეს ბევრი ისეთი ნიჭიერი მსახიობია, რომ მათ შეუძლიათ საუკეთესო ვერო-პიული სცენაც დააშვერონ. სამწუხაროდ ამასვე ვერ ვიტუვით ჩვენი დრამატურგების შესახებ. ჩვენ დრა-

მატიულ მწერლობაში ორი ხანა არის აღსანიშნავის  
პირველი ხანა დაიწყო გ. ერისთავის კომედიებით,  
შეორე ხანა მეოთხმოცე წლებში დავით ერისთავის  
„სამშობლო“-თი. ყველა კომედია, რომელიც ქარ-  
თულ ენაზე დაიწერა, გიორგი ერისათვის კომედი-  
ების კოპიოებია; ყველა გარეგნულათ ხატავს ცხოვ-  
რებას. ყველა ცდილობს სიცილი გაძლიეროს ობუ-  
ნჯობია, მიკუეულ-მოქცეული სიტყვებით და არა  
მოქმედების განვითარებით და ხასიათთა კონტრას-  
ტებით; ყოველივე ეს კი არ შეადგენს კომედიის.  
დამახასიათებელ თვისებებს,—ასე რომ ნამდვილი  
კომედია ქართულ დრამატიულ ხელოვნებას ჯერ  
არ შეუქნია. ყველა დრამა. რომელიც მეოთხეობულ  
წლებს აქეთ დაწერილა, დ. ერისთავის „სამშობ-  
ლოს“ ზეგავლენის ნაყოფია. თუ ასეთი დრამები  
საზოგადოებაზე შთაბეჭდილებას ახდენს, უფრო პა-  
ტრიოტული გრძნობის ბრალია, ვიდრე დრამების  
ლირსების. ჩადგანაც ორიგინალური პიესები ცო-  
ტა მოვცეპოებოდა და, რაც იყო, უმეტესი ნაწი-  
ლი ძალიან სუსტი იყო. ამიტომ ჩვენი მწერლობა  
იძულებული იყო, უცხო დრამატურგები ეთარგმნა,  
და ამ მხრით ჩვენმა სცენამ და ლიტერატურამ ძა-  
ლიან ბევრი შეიძინა, შეუძლებელია იმის გამოკერ-  
ძოება, რაც მარტო თეატრმა გააკეთა ამ დროს გან-  
მავლობაში; ხოლო თუ რომელ შეუწყო ხელი ჩვენი

“აზოგა სოების გამოფხიზლებას, ცხოვრების წინ-  
მსელელობას. ჩვენ თეატრსაც დიდი ღვაწლი მიუ-  
ძღვის ამ მხრით. შემდეგში, როცა ცხოვრება უფ-  
რო გამოიჩკვევა და ის განსახოვნებული კლასები,  
რომლებმაც ჩვენში თავი იჩინეს, დასრულებულ სა-  
ხეს მიიღებენ, თეატრი უფრო მეტ სარგებლობას  
მოიტანს, რადვანაც ეცოდინება, ვის აძხილოს და  
ვისი ინტერესები დაიცვას. ამ ორმოცდა ათი წლის  
განმავლობაში როგორც აღმოჩნდა დრამატიული  
საზოგადოების გამგეობის მოხსენებიდან, თვითმისის  
სცენაზე წარმოუდგენიათ სულ 219 პიესა, რომელ-  
თაგან კომედიები და ვოდევილები 139, დრამა და  
ტრაგელიები 80. ამათში უმეტესი წილი თარგმანია,  
ორიგინალურია მხოლოდ 55 პიესა. 50 კომედია-ვო-  
დევილები და 35 დრამები. ამ გვარათ ჩვენი ორი-  
გინალური რეპერტუარი არ ყოფილი მაინცა და  
ვაინც დარიბი, თუმცა არც სიმღიდრე ეთქმის. ჩვენ  
დრამატურგებს უფრო კომედია-ვოდევილების თხზ-  
ვაში გამოუჩენიას ნიჭი. სამწუხაროთ კომედიებში  
ძალიან ცოტა არის ისეთი, რომ ამართლებდეს თა-  
ვის სახელს; უმეტესი წილი უფრო ვოდევილსა  
ჰგავს. ვერ აჩენებს მაყურებელს ჩვენი ცხოვრებისა  
და ბუნების გასაკიცხ თვისებებს, ვერ ჩათიქჩებს  
მას, ვერ დაუბადავს მას სურვილს ცხოვრებისა და  
თავისი თავის გაუმჯობესობისას; ვოდევილები ხომ

პირდაპირ სიცილისათვის არიან დაწერილი. რაც  
შეეხება ტრაგედიებსა და დრამებსა, უმეტესი ნაწი-  
ლი წარსულ ცხოვრებას ხატავს, პატრიოტულ თავ-  
მოყარეობას გვიტკბობს, გაუმარჯოს სამშობლოსო,  
წამოვაძახებიებს და მეტი არაფერი: თეატრიდან  
რომ გამოვალო, ყოველისფერი ნიაცს გაჟყვება! ისეთ  
დრამებს, რომლებიც წარსული გმირობის და თავ-  
განწირვის მეტს არას უხატავა მაყურებელს, დღეს  
ნაკლები მნიშვნელობა აქვთ. თუ ერთი მხრივ ჩვენ  
დრამატიულ ხელოვნებას ზერელი შინაარსის კო-  
მედია-ვოდევილები მეტი მოუკია ჩვენთვის და დრა-  
მების საგნათაც მხოლოთ წარსული ცხოვრება, ძვე-  
ლი გმირების სივაუკაცე დაუსაჩავს, ამის მიზეზი  
თვით ჩვენი ცხოვება იყო. ლიტერატურა შვილია  
თავისი ეპოქის, გამომხატველია ერის ფსიხოლოგი-  
ის, კომპასია საზოგადოებრივი განვითარების და  
ამირომ თავისი დროის ელფერს ატარებს. რადგა-  
ნაც ჩვენი საზოგადოების ცხოვრება თეატრის დაა-  
რსების დროს მეტათ ფუქსავარი იყო, გონებრივი  
მოძრაობა თითქმის სრულიად არ არსებობდა, სა-  
ზოგადოება მხოლოთ სიცილ-ხარხარისათვის მიღი-  
ოდა თეატრში, ამიტომ გასაკირალიც არ არის,  
თუ დრამატურგებმა უფრო ვოდევილებისა და ზე-  
რელი შინაარსის კომედიების თხუზვის მიჰყეს ხე-  
ლი. გადაიკითხეთ გ. ერისთავის კომედიები და და-

რწმუნდებით, რომ ის კაციც კი, რომელიც თვატ-რით საზოგადოების იღზრდას ეპირებოდა, ნაშეტანს ცდილობა, რომ ოხუნჯობით და ლათაიებით საზოგადოება ემსიარულებია. რაც შეეხება წარსულ ცხოვრებას, მას ხომ ოხვრა-ხვნებით იგონებდა ჩვენი არისტოკრატია; ამ ხვნების მიზეზი უანგარო შამულის სიყვარული კი არ ყოფილა, ეს იყო იმ ქალ-მომზრეობის, პოლიტიკური ბატონობის გაუქმდების გლოვა, რისი უფლებაც მეცხრამეტე საუკუნეში თავიადობაშ დაკარგა. ახალთაობა და მწერალობა არისტოკრატიის გლოვაშ გაიტაცა, არისტოკრატიის კლასიური ინტერესებისათვის გოლებაშ დაიბადა ჩვენ ლიტერატურაში რომანიულ—პატრიოტული მიმართულება, ამანვე გამოიწვია ის დრამები რომლებიც წარსულ გმირთა ხმალ-ხანჯლის ტრიალის შეტა არის იძლევიან. დღეს არისტოკრატიაშ და მისმა ქარაფშურა ცხოვრებამ უპირატესობა დაკარგა ჩვენ ცხოვრებაში. დღეს მარტო არისტოკრატიის ინტერესები საზოგადო ყურადღებას აღარ იპყრობს; მათ აღავს იქერს მთელი ერის ინტერესები, მთელი ერის ბმწყო და მომავალი და არა ერთი რომელმე წოდების: ასე მოითხოვა ჩვენი ცხოვრების წინმსვლელობამ. თუ ცხოვრება:მ იცვალო ფეხი, თეატრმაც უსათუოთ უნდა იცვალოს. თუ ის ფრთ დროს იკმაყოფილებდა ჩვენ საზოგა

დოებას უშინაარსო კომედიებითა და ხშალ-ხანჯლის ტრიალის ცქერით, ასეთი პიესებით დღეს ბეჭვარ დაკმაყოფილებს, რასაკვირველია, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება აღრე თუ გეიან მიუქმნა ჩვენ ცხოვრებას დროის შესაფერ დრამატურგს, მაგრამ, სანამ ნიჭიერი კაცი დაიბალებოდეს და სცენას გარდაქმნიდეს, თვითონ სცენა უნდა ცდოლობდეს დროის შესაფერი სახე მიიღოს. ჩვენი დღევანდელი სცენის შესახებ კი ამას ვერ ვიტყვით. როდესაც დღევანდელმა საჭიროობო სოციალურმა კითხვებმა დიდიხანია თავი იჩინეს ჩვენ ლიტერატურაში, როდესაც სოციალური კლასების აღორძინება ჩვენ ცხოვრებაში ყველასათვის ცხადია და ლიტერატურაც ველარ გალავს ან მოვლენას, ჩვენი სცენა ჯერჯერობით ყურსაც არ იბერტყავს: ის ისევ ძველი არისტოკრატიის შექცევას ცდილობს. თუ კი ჩვენი დრამატურგები არ იღებენ ან ვერ იღებენ დღევანდელი ცხოვრებიდან პიესისათვის ტემას, სცენამ რა მოაგვაროსო, იტყვის ზოგიერთი მკითხველი. აი რა უნდა მოაგვაროს: სხვა ერსაც გაუვლია ისეთი ხანა, როგორიც დღეს ჩვენშია, სხვა ერსაც ჰყოლია ასეთი ხანის შესაფერი ნიჭიერი დრამატურგები. მარტო ნაციონალური დრამატურგებით არც ერთი სცენა არ იკვებება და ჩვენ სად დაგვეხადება იმდენი დრამატურგები,

რომ მარტო მათ დააკმაყოფილონ ჩვენი სცენა? ამ ამ უცხო მწერლებს უნდა მიაქციოს ჩვენმა სცენამ ყურადღება და თარგმნოს ისეთი პიესები, რომლებიც უფრო შეეფერებიან დღევანდელ ჩვენ ცხოვრებას, რომლებიც უფრო მეტ მასალას მიცემენ დღევანდელი ქართველას გულსა და გონებას. ამ გზას უნდა დაადგეს ჩვენი სცენა, თუ უნდა საზოგადოებრივ წინმსვლელობაში თავისი წვლილი შეიტანოს და არ გადაიქცეს მარტი გასართობ დაწესებულებათ, როგორიც ის ამ ოცდა ხუთი წლის წინეთ იყო.

ივ. გომართველი.

2 იანვარი 1900 წ.

თბილისში

როგორც უწყიან მკითხველებმა, კვირას, 2 იანვარს, შესრულდა 50 წელიწადი ქართულის სცენის დაარსებილებაზ. აი დღეს ქართულ დრამატიულ საზოგადოებას დილით სადღესასწაულო კრება ჰქონდა და საღამოზედ წარმოდგენა აფიოთეოზით. როგორც კრებას, ისე წარმოდგენას ესოდენ დიდძალი საზოგადოება დაესწრო, რომ თავად აზნაურობის თეატრში ვაშლის დასაცემი ადგილი არსად მოიძებნებოდა. თეატრი დილით მორთული იყო შიგნიდებან სამ-ფეროვანის დროშებით, ხოლო საღამოზედ გაჩირალდანებული ფერალის ფარნებით.

ქართული დრამატიული საზოგადოების კრება დაიწყო ნაშუადღევის  $12\frac{1}{2}$  საათზედ. სცენაზე გრძელს მაგიდას უსხლნენ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის წევრნი. გამგეობის თავმჯდომარემ ვ. სულხანიშვილმა კრების დაწყებისთანავე გააცნო იქ მყოფთ მიზეზი კრებისა, გაიხსენია ქართულის სცენის აწ უკვე განსვენებული მოღვაწენისაერთოდ და სახლვა კრებას, ფეხზედ წამოდგომით პატივი ეცავ მათს ხსენებისათვის. მთელმა საზოგადოებამ ფეხ-

ჭედ წამოუგომით პატივისცემა განუცხადა ქართულის სცენის გარდაცვალებულ მოღვაწეთ. შემდეგ გამგეობისავე წინადაღებით კრებამ ქართულ დრამატიულ საზოგადოების საპატიო წევრებად ამოიჩინა ჩევნინი პატივცემულნი დრამატურგნი ბ-ნი გაზრიელ ნიკიტას ხე სუნდუკანცი და ავესენტი ანტონის ხე ცაგარელი. ორივე მწერალი საზოგადოებამ ხანგრძლივის ტაჟის ცემით დააჯილდოვა საზოგადო კრების თავმჯდომარედ ამორჩეულ იქმნა საპატიო წევრი ამ საზოგადოებისა კნეინა ნინო დავითის ასული ჩოლაკაშვილისა.

დავითა რა თავმჯდომარემ თავისი აღგილი, ბ-ნმა პ. ა. ოპონინინმა რუსულის სცენის სახელით მიულოცა საზოგადოებას ქართულის სცენის დაარსებითგან 50 წლის შესრულება. არტისტიულ საზოგადოების წარმომადგენელად იყვნენ ბ-ნი ვ. ვ. კარნოეიჩი და გაიტენოვი, რომელთ შორის პირველი მიესალამა დღესასწაულს. ქალაქის თვითმართველობის მხრივ ეს დღესასწაული მიულოცა დრამატიულ საზოგადოებას ქალაქის გამგეობის წევრმა თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა. შეძლევ თავ. ი. ვ. ჭავჭავაძემ, ვაჟარცა „წერა-კითხვის ვამავრცელებელ საზოგადოების“ თავმჯდომარემა და „რერაიის“ რედაქტორმა, წაიკითხა შემდეგი ადრესი:

„ნახევარმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ,

რაც პირველად იჩადა ფარდა ქართულის სცენისა  
და სცენაზედ გამოჩენა ქართული ცხოვრება, ქარ-  
თულის მწერლისაგან აღწერილი და ქართულ მსა-  
ხიობთაგან დასურათებული. ეს დღე სადღესასწაუ-  
ლოა არა თუ ქართულის დრამატიულის ხელოვნე-  
ბისათვის, არამედ მთლათ მთელის ქართულის ლი-  
ტერატურისათვის. ამ დღეს ქართველ მოლიერის  
ნიჭის ნაწარმოები ნახა ქართველმა საზოგადოებამ.  
ეს ის ნაწარმოები გახლდათ, რომელიც ქართულს  
დრამატიულს საზოგადოებას განუზრახავს აჩვენოს  
დღეს საზოგადოებას! ეს ის კომედია „გაყრა“ გახ-  
ლდათ, რომლის უკორმა თავ გიორგი ურისთავმა  
დაიწყო ქართველ საზოგადოების ტკივილთა და  
ნაკლულევანებათა გამოქვეყნება და ამ გამოქვეყ-  
ნებით ქართულის საზოგადოების ზნეობრივად აღზ-  
რდა და გაწრთვნა. ამ დღიდგან ქართულს ლიტე-  
რატურას კარი გაეცნა სცენისაკენ და ნება მიეცა  
სცენიდგან საზოგადოებისათვის ქადაგება-მოძღვრე-  
ბისა ამა თუ იმ სახით და მას შემდეგ ამ აზრს მის-  
დევდა ჩვენი დრამატიული მწერლობა.—ანტონოვი,  
ი. ჭავჭავაძე, უ. წერიძე გლი, რ. და ლ. ე-ისთავი,  
ა. ყაზბეგი, ა. ცაგარელი, კ. მესხი, გ. გუნია და  
სხვა. ამავე დღეს ჩაიდგა საძირკველი ქართულის  
დრამატიულის ხელოვნებისა და ქართულ მსახიო-  
ბთა მუდმივი წრე მიუცილებელ საჭირობად შეიქმ-

ნ. მხოლოდ ამის შემდეგ გაჩნდნენ უხვის ნიჭით  
დაჯილდოებულნი ჩეენი შსახიოპნი, რომელთაგან  
ბ. ვ. აბაშიძემ, ქ. გაბუნია-ცაგარლისამ და საფა-  
როვ-აბაშიძისამ. უკვდავი ტიპები დაგვიხატეს ევრო-  
პიელ კლასიკურად კომედიებისა და ქართულ ცხოვ-  
რების დამახასიათებელ ნაწარმოებთა: ბ-ნთ. ვ. ალე-  
ქსი-მესხიშვილმა და კ. ყიფურანმა შექსპირი და შილ-  
ლერი შეაყვარეს და გაუშინაურეს ქართველ საზო-  
გადოებას, ბ-ნმა კ. მესხმა და ქ-ნმა ე. მესხმა ფრან-  
გული თანამედროვე დრამები გააცნენ ქართულს  
თეატრს. აგრძ მალე მეოთხედი საუკუნეა რაც არ-  
სებობს ის საზოგადოება, რომელიც ლონეს და  
შრომას არა ჰზოგავს, რომ მრავალ მხრივ გაჭირვე-  
ბულ ჩვენს თეატრს ხელი შეუწყოს და მტკიცე  
ნიადაგზედ დააყენოს ის საზოგადოება, რომელმაც  
შეგვყარა ჩვენ ყველანი აქ ერთად ჩვენის თეატრის  
ორმოც-და-ათის წლის სადღესასწაულოდ.

ეს დღე ამდენად შესანიშნავი მრავალ გვარად  
სადღესასწაულოა ჩვენთვის და „ქართველთა შორის  
წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ალ-  
ტაცებით და მრავალის სურვილით აღსავსე გულით  
მიმმართავს ქართულს თეატრს, მისს მუშაკთ—ქარ  
თულ დრამატიულს მწერლებს და ქართველ მსახი-  
ობთ, მისს ხელმძღვანელს—ქართველ დრამატიულ-  
საზოგადოებას და ერთად მთელ ქართველ ერთან

ულოცავს ასეთ დიდებულს ჩვენის თეატრისა და  
ლიტერატურისათვის დღესასწაულს”.

„მოამბე“-, „ცნობის ფურულის“ რედაქციის  
მხრივ დრამატიულ საზოგადოებას დღესასწაული მი-  
ულოცა ბ-ნმა ა. მ. კუონიამ. შემდევ სახალხო ოე-  
ატრიის ქართულ სექტიის მხრივ ადრესი წაიკითხა  
ჭ-ნმა მ. დემურიამ შემდევის შინაარსისა:

„დღეს შესრულდა ორმოც-და-ათი წელიწადი  
მას აქეთ, რაც დაფუძნდა სამუდამო ქართული სცე-  
ნა და რაც ამ სცენაზედ პირველად იქმნა წარმო-  
დგენილი ქართული პიესა! როგორც ყველას მო-  
გეხსენებათ, საძირკველი ამ სცენისა ჩაჰყარეს ნეტარ  
სცენებულმა გიორგი ერისთავმა, ანტონოვმა, კერე-  
სელიძემ და სხვათა. და რამდენადაც მრავალი და  
მაგარი ყოფილა ეს საძირკველი, ამას ცხადად ამ-  
ტკიცებს აწინდელი მდგომარეობა ჩვენის თეატრი-  
სა. წარსულ ნახევარ საუკუნის განმავლობაში ქარ-  
თული სცენა თვის კეთილ-გავლენას ჰქონდა მთლად  
საქრთველოს: შორეულ და მივარდნილ პროექტია-  
შიაც კი ამ გავლენის მაღლს ხშირად მოჰქონდა  
ხოლმე თავისი შესაფერი ნაყოფი. ჩვენის უმთავ-  
რესი სცენის ასეთ კეთილ ნაყოფად უნდა ჩაირიც-  
ხოს, სხვათა შორის, აქაური სახალხო ხცენაც,  
რომელიც თავისს დანიშნულებას დღევანდლამდე  
შეძლებისა დაგვარად ემსახურება. სახალხო ოეატ-

რის გაშეც სეჭურა თავისს მოვალეობად პრაცხს ამ საგულისხმიერო დღეს განიცემდოს თავისი გული-თაღი სიხარული და ოლტიურბა. ღმერთმა იურთ-ხოს სახელი სამშობლო სცენის განსვენებულ მო-ლვაწეთა და განაძლიერის მხნეობა და მოქმედება აწინდელის ჩვენის თეატრის მუშავთა! დღეს ჩვენს სცენას ამშევნებენ ზრდალნი ნიჭიერნი და ვინატ-რით, რომ ამ სცენას მომავალშიაც წინსვლიხა და განვითარების გზა ერთი ათაღ გამფართოებოდეს.“

შემდეგ ტფილისის სათავალ-აზნაურო სკოლის გამგემ ბ-ნმა ე. თაყაიშვილმა წაიკითხა შემდეგი აღრესი:

„ტფილისის სათავალ-აზნაურო სკოლა, აფასდ-ბს რა ლიტერატურად დიდია და თეალ საჩინო ლვაწ-ლს ქართულის სცენისას სამშობლო ენისა და ლი-ტერატურისათვის, ულოცავს საზოგადოების გამ-გეობას ნახევარის საუკუნის არსებობის დღესასწა-ულს და უსურვებს წარმატებას და ოლყვავებას მო-მავალში“.

სომხურ ეურალების „აღმიურისა“ და „თარა-ზის“ რედაქციის ადრესი წაიკითხა სომხურს ენა-ზე ბ-ნშა გ. მირალიანმა. იმ შინაარსი ამ აღრე-სისა:

„ფრიად პატივურემულ ქართულ დრმატიულ საზოგადოებას „აღმიურისა“ და „თარაზის“ რედაქ-

ცია გულმხერებალედ ქმურად ულოციას დღევან-  
დელ დღესასწაულს ხელოვნების-ტაძრის ორმოც-  
და-ათი წლის არსებობის გამო. იმ ნახევარ საუკუ-  
ნეში კინ მოსთვლის რამდენი მსხვერპლი უნდა  
ჟერირთა, რამდენი წევალები უნდა გამოევლო, რომ  
ამ ხელოვნობის მხრივ უკან ჩამორჩენილს ქვეყანა-  
ში დაცული ყოფილია ტაძარი, რომელიც ჰქონის  
მშვენიერებას და კეთილს იდეას ავრცელებს. გაქვა-  
ვებულ გულს ასპერაციებს და გემოვნებას და გრძ-  
ნობას ანიჭებს. მრავალ უამრერ დამკვიდრდეს მშვე-  
ნიერების ტაძარიდა სვეტი ჩენოდ სიყვარელთა თა-  
ნამოძმეთა ქართველთა თეთი კონკიციიების განსა-  
ზრკიცებლიდ".

ზოგიერთ ამ იღრესების წაკითხვაშდე ბ-ნმა ნ.  
ი. ავალიშვილმა წაკითხა „ქართულის თეატრის  
შოულე ისტორიული მიმოხილვა 1855—1900 წწ.“  
დრამატულ სახოგადოების გამგეობაზ წაკითხა  
თვეისი მოხსენება. 1)

დასასრულ ბ-ნმა პ. უშიკაშვილმა ერცელი  
წერილი წიკითხი „ქართული თეატრი და ლიტე-  
რატურა“. 2)

1) იხილე ქვეყიდ 77 გვერდი.

2) სამწუხაროდ დიდათ ჭატივ ცემელის პ.  
უშიკაშვილის წერილს იმ ბროშურაში ვერ ვბეჭდივთ.  
რაღაც ხელ ნიწერი არა გვიქვს.

სალაშოზედ წარმოლგენილ იქმნათ. გ. ერის-თავის თთხ მოქმედებიანი კომედია „გაყრა“, რო-მელშიაც როლებს ჩვენი სუენის საუკეთესო არტი-სტები ასრულებლენენ. შემდევ გაიმართა აფოთეოზი სცენაზედ. შეუ ალაგას დადგმული იყო სურათი მარალ-სახსოვარის ქართული სცენის დამაარსებლის თავ. გ. დ. ერისთავისა, ყვავილებით შემჯული და ელექტრონით განათებული. ამ სურათების ცალ მხარეს იდგნენ ქართულის თეატრის არტისტები, ხოლო მეორე მხარეს ბ-ნ. ფალიაშვილის ქალთა და ვაჟთა ხორო. ამ ხორომ შევენივრად და დიდად მწყობრად შეასრულა რამდენიმე სახალხო სიმღერა „თამარის ღროშა გაშალეს“, „გოგონა“, „ქაქუჩე-ლა“ და სხ. რამაც საზოგადოება აღტაცებაში მოი-ყვანა. სომხურის არტისტების წარმომადგენელმა სომხურად შემდეგის სიტყვით მიშართა არტისტებს:

„მოწყალეო ხელმწიფენო! დღეს. 1900 წლის დასაწყისს ქართველი საზოგადოება სამშობლო სცე-ნის მოღვაწეთა წინაშე, ღლესასწაულობს ქართუ-ლის თეატრის 50 წლის არსებობას. 50 წლის ღლესასწაული ეროვნულის თეატრისა მაინც და მა-რიც დილი არ არის იმ ერითვის, რომელიც თით-ქმის 40 საუკუნეა არსებობს, მაგრამ თუ გავითვა-ლისწინებთ დიდად განათლებულ ერთა თეატრის ისტორიას, დავრწმუნდებით, სასუენო ხელოვნება

მათთვისაც ახალი საქმეა.

აი, ამ მოსაზრებით, ძვირფასნო ქმანნო, ნება გაქვთ იამაყოთ დღევანდელი დღესასწაულით, იმი-ტომ რომ ეს ბრწყინვალე დღესასწაული დამამტკი-ცებლია თქვენის შეგნებულებისა, წინ-მსვლელო-ბისა და განვითარებისა.

თეატრის მნიშვნელობის ასნას ჩვენ არ შევე-სებით, რადგანაც ყველა განათლებულ ერთაგან იგი უკვე ცნობილია ხალხის განმავითარებელ და აღმზრდელ დაწესებულებად.

ნახევარმა საუკუნეებში გაიარა თეატრის დაარსე-ბიდგან და ახლა საზოგადოებამ ნელ-ნელა შეიგნო მისთა წინაპართა აზრის სიმართლე, გაიგო აზრი კომედიის „გაყრის“, რომელიც ერთობას განამ-ტკიცებს. იქ, სადაც ერთობას, სიყვარულს დათმო-ბილი აქვს პირველი ადგილი, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყოველი სურვილი, ყოველივე კეთილი საქმე დაგვირგვინდება.

ჩვენც მსახურნი ამ წმინდა ტაძრისა, სომხუ-რის სცენის არტისტნი, ვხედავთ რა თქვენ წარმა-ტებას და თვით შეგნებას თეატრის ასპარეზზედ, გთხოვთ ნება დაგვრთოთ, დიდის თანაგრძნობით მივიღოთ. მონაწილეობა თქვენს დღესასწაულში: ნება გვიბოძეთ ჩვენც კეთილი სურვილით მოგბა-ძოთ თქვენ ამ გეარ მოღვაწეობის ასპარეზზედ;

წება მოგვეცია ჩვენც ამ ტაძრიდგან ვისმინთ მო-  
ძღვრება შშეიღობისა, სიყვარულისა და ერთობისა.

ასე საყვარელნო ქმანო, შევძახოთ ერთ-ხმად,  
გაუმარჯოთ ჩვენს თანამოძმე ქართველებს, გაუმარ-  
ჯოს შათგან შექმნილს ეროვნულს სცენას და შენ  
კი, უკავდავო თეატრის დამაარსებელო. მიღე ეს  
დაფნის გვირვეინი ია ეკლის გვირვეინის მაგივრად,  
რომელიც, ვინ იცის, ამ 50 წლის წინად ამშვე-  
რებდა შენს შრომისაგან გაოფლიანებულს შუბლს“.

შემდეგ ბ-ნმა პ. უმია შვილმა უთხრა:

„ბატონებო! დღევანდელს სასიხარულო დღეს  
ყველა ულოცავს ქართველობას ამ დღესასწაულს,  
რომ შშეიღ-წენარს საქართველო 50 წელიწადს მან მოა-  
ხერხა ასეთი ფეხი წინ წაგდა ხელოვნების ასპარე-  
ზედ. დილას საზოგადო მილოცვას დროს განაცხა:  
არარაისაგან დაიბადა ჩვენი თეატრიო. დიახ... ეს  
ტაძრი შეჰქმნა ხალხმა თავისის ღონით, ვაგრამ  
მისი საქმის აღმსრულებელი, განმახორციელებელი  
თქვენა ბრძანდებით. ამ ტაძრის მუშაქნო და მოსა-  
ქმენო. დღევანდელი ჩვენი სახილხო დღესასწაული  
თქვენი დღესასწაულით. თქვენსა და ჩვენს სიხარუ-  
ლს იქნება შემობყოლოდეს კვნესა გულისა, მაგრამ  
რც შედრებით. დიდი საქედ ხელოვნებისა. ამ მშვე-  
რიერის ხელოვნების დამკაიდრებისა ჩვენში თქვენ-  
ში ნიჭია, თქვენშია დვაწლშია განამტკიცა. თქვენ

მრავალი დაბრულება შეგხედათ და გხვდებათ, მაგრამ დასძლიერ და კიდეც დასძლევთ. თქვენი სახელი ქართულის ხელოუნების, თეატრის და ლიტერატურის იტორიაში ჩაიბეჭდა, ვერაფერი ვეღარ წაშლის თქვენს შრომის. თქვენი სახელს. დღვევის დელი დღესასწაული, ეს საერთო სიხარულის გამოცხადება, ეს პატავის-ცემა, თქვენი გვირჩენია, ხელო უქმნელი გვირგვინი, ხალხისაგან მოძღვნილი. ის არის თქვენი დიდება, თქვენი ჯილდო, თქვენის გზის დალოცვა და კურთხევა მოავალის თქვენის მოღვაწეობისათვის.

დასასრულ ბ-ნმა კ. ყიფიანმა წაიკითხა მოლოცვას დეპეშები, რომელსაც აქვე ვტეჭავთ:

ქუთაისილგან:

შოგილოცავთ იუბილების, გისურებულით თავაფრის აყვავებას და იმის ნაყოფის მოქმედების განვითარებას.

ქუთ. გუბერნიის წინიშდოლი თავიდი ჭერეთელი.

შოგილოცავთ აი წლის იუბილების. გულით გისურებულია ქართველისათვის ძალისა და თავაფრის საძმის აყვავებას.

ქუთაისის ქართველი მანდილისები.

ქუთაისის ქართული დასი გულით გილოცავთ თავაფრის გაარსებიდგან 50 წლის შესრულებას. გისურებულით წარმატებას, და განვითარებას მრავალ--ქაბიღო

გლ. ილექსი-შესხებვილი.

ქუთამასის ახალგაბდოშა კულით უკრთვება საბ-  
ჟობულ თავაცრის არცებოშა 50 წლის შესრულების  
დღესაც წრიული; ამ თავაცრისას, რომელიც სკოლაა სა-  
ბოგდობრივის თვითი ცნობის შესრულებისა,  
პირი დასკვის გადასრულის და მაღალ პრინციპის  
აღმოჩენისა უკანასკნელი ჩატარების გამორჩევაში  
რათა შეკვებული ერთსა და იმავე გრძელ ამ თავაცრში  
სიახლეება და სწავლა.

კუთამასის ახალგაზღიულია.

ქართულის თავაცრის 50 წლის ნაყოფირი არ-  
სებობა ამ თავაცრის განვითარების და აყვავების თავ-  
შრებაა კაგბაკნით გულრჩეულ სალაპას და მაღლობის  
ქართულ თავაცრის დაგენერაცია; მეშვეოთ.

პავლე თუმანიშვილი.

### ბათუმილგან:

შათრების ქართველი საბოგდონი გიგანტი სა-  
ლაპას და გილოცავთ საპრიმელო თავაცრის არცებო-  
ბის 50 წლის შესრულების გამო, ვისურვით შემდეგ-  
შიაც აღყვავებას და განვითარებას.

კოლხე.

შათრების თვით მართვლობრივ მხრივ გილოცა-  
ვთ ქართულ სცენის და იმის მოღვაწეთა კულტუ-  
რულ მოძღვების 50 წლის შესრულებას. გისურ-  
ვებთ აკრეოვა, შემდეგშიაც აღყვავებას და განვითა-  
რებას.

ასათიანი.

შათრების ქართული სკოლა, უკრთვება საბოგდო

დღესაწერთულის ქართულის თავაფრის არსებობის 50 წლის შესრულებით გამო.

მასწავლებელი

გილოცავთ ქართულის თავაფრის 50 წლის არსებობის შესრულებას.

სკუნის-მოყვარენი.

### გორილგან:

გორის ქართველი საბიგავოება აღცაცალით გილოცავთ სამშობლო თავაფრის ნახევრ საუკუნის არსებობის შესრულებას და ისურველს ქართულ სურნის განსვენებულ მოღვაწოთათვის საუკუნო ხსნებას, ხოლო აწინდელთათვის შხრებასა და კუთილ წარმატებას.

გორის ქართველი საზოგადოება.

გორის ქართველის შეცხოვები და მე გილოცავთ ღირს-შესანიშნავ იუბილებს. ვისურვებთ ქართულის სცენის აღყვაზებას.

ქალაქის მამასახლისი სააკვი.

### ოზურგეთილგან:

ობერგეთლები გიცხადებოდა გერულთა სიპარულის გრძნობას ქართულ თავაფრის ორმოცდა-ათის წლის იუბილების გამო, გელათ ვურტოვებით საბოგადო სიხარულს და გისურვებოთ სივრცესა და წარმატებას მშობლითის სცენის შოლვაწებთ.

თავდგირიძე.

ობერგეთის ინფელიგენცია სულითა და გულით იგორება მშობლით თავაფრის ორმოცდა-ათის წლის

თუმცილადის და ვუსურჯებთ სრულს წარმაცევას. ლეპტ-  
ფრა ინგრეს გისი აღყვავება მრავალ-ქამიყრ. მეოქმენე  
და ჩვენის ცხოვრების სარვედ და ჰკოლად და დააჭი-  
როს ჭურლევანდ ადგრლი მგრძავსთა შორის.

ზოგილ თემისი უკილი და სხვანი,

### სილნალილგან:

მოგილოცავაზ ორმოცდაათის წლის ღლესასწაუ-  
ლს: უმერობა მომავლისათვისაც ნაყოფიერა მოღვა-  
წეობა შეგატლებინოთ სამშობლოს სასარვეპლოდ.

მანამ ინტელიგენცია.

ვერ ვასწრები-რა ძალიდას ამხანავებთან ერთად  
ჭართულ სცენის ორმოცდაათის წლის ღლესასწაულს,  
დათხოვთ შინღოთ ჩულ-წრდელი მოლოცვა ამ დრიად  
ღირს-შესანიშნავის ღლისა, ვისურჯებთ მშობლებ სცე-  
ნის აღყვავებას სამშობლოს საბავაუთოდ. ჩვენდა სასი-  
ძაღლოდ და სამშეაყოდ.

გრიხოვი (ტყვიაველი)

ვილოცავაზ ძართულს სცენას ორმოცდაათის წლის  
ხასარგებლო მოღვაწეობას და ვუსურჯებთ განვითარე-  
ბის, ხოლო აწინველ მის მემკვით სიმსრევეს ამა სცე-  
ნის სანგრძლივის ჩრსკებობის საბივეროდ.

სილნალელი ჭიროველები.

სალაში ვებრუანდ ძართულის თავადრის თრმოცდა-  
ათის წლის არსებობის ღლესასწაულს და ვუსურჯებ  
მის შემდეგისათვისაც მრავალ წლის წარმაცევას ჩვე-  
ნის სამშობლოს სახივეროდ.

დიახინი.

### თელავიდგან:

ზელოცავ ჩიტითის ბჟირდასს ქართულს თავაცნას  
50 წლის შესრულებას და ვუპერვებ ხანგრძლავ მწ-  
რყინვალე სიცოცხლეს.

დაფიქცირებული.

ზელოცავთ ქართულს თავაცნას საბორბილო დღე-  
სასწაულს. ძლიერ ვწევართ, რომ ჯერ მოვახდეს ეთ  
შონაწილობა მივაუღი ჩვენ ამხარაკებთან ერთად. ვდ ღე-  
სასწაულობრთ თელავიდი.

მ.წ. გამოყენებისთვის.

### კავკავილგან:

ჩვენს მხერვალე გრძნობას ვუწერთავთ შეიარა-  
ლს დღესასწაულს სამშობლო სცენის 50 წლის არსე-  
ბობის გამო. გელათავის მაღლობის ვებღვინით ქარ-  
თულ ღრაძეაფილ ხელოვნების წარსული და აწმდე  
შოვარებული და ვუსრულებ მრავალ-ქამიერს შედნირად  
სიცოცხლეს.

კავკავის ქართველი თხილგაზიდობა.

ძლიერ გვისარიან, რომ ნახევარის საუკუნის წი-  
ნად მიმომწერულმა თესლმა შესაბმელები ნაყოფი გამო-  
იღო. სიამოვნებით ვიგონებთ-რა სამშობლო სცენის  
დაბაარსებულთ, ვუსრულებ მის ქალანდელ მოღვაწეთ  
მრავალ-ქამიერ სიცოცხლეს.

კავკავის ქართველები

### ბაქოდგან:

შავის ქართველი საბორბადოება. ზელოცავთ-რა  
სამშობლო სცენის 50 წლის დღესასწაულს, ვუსრულ-

შთ სრულია აღყვაფებას და წარმატებას ასეთს მძახე  
საძმელი, როგორც არის ხალხის განათლება ცოცხა-  
ლის სიცდით. იცოცხლას სამშობლო სცენატ. მრა-  
ვალ-ქამიერ.

ელიაზეილი

### ჭიათურიდგან:

ვულოცავთ ღრამაციულ საბოგადოებას თეატრის  
არცებობის 50 წლის იუბილებს. ვუსურჯვებთ სამშო-  
ბლო სცენას აღყვაფებას  
ჭიათურის ახალგაზღიაბა.

### კვირილიდგან:

გილოცავთ-რა ქართულის სცენას იუბილებს,  
ვასურჯვებთ მისს აღყვაფებას.  
კვირილის ახალგაზღიაბა.

### ოჩემჩირედგან:

დამა თჩემჩირის ყველა ქართველნი ერთობლივ  
ვულოცავთ ქართულ ღრამაციულ საბოგადოებას ქარ-  
თულის თეატრის ორმოცდა-ათის წლის არსებობას და  
ხელითა და გელით ვუსურჯვებთ ჩვენს სცენას აღყვაფე-  
ბას.

ქართველი საზოგადოება.

### თიონეთიდგან:

თიონეთლები. გამსაჭვალელნი ქართულ თეატ-  
რის პირველ მოღვაწეთა განათლებულ მოარველის  
ნამესჭრივის ვორონცოვის ასოვნის მიმართ პაცივის  
ცემის გრძნობით, ვულოცავთ ღრამაციულ საბოგადო-

յիման քա թևակեօթետ Տամալու ուղագրուս ճաշոցառ Տա-  
ղականուս առևշտունուս ջղով քա Շուղա-Ցաղալով Յղադր-  
չիթ հջոր Տպանաս Բարմացրեաս.

### Ճանճուղան:

Ճարտաղլուս տաւգրուս որմեռու քա-աւուս բլուս առ-  
Սղեռնունուս ջղով գաճախլու ճարտաղլուն մոհութիւնուտ չո-  
գոնիթ ճարտաղլ Տպանուս Շղմբնջլուս, Տօպարդունուս քա  
Շուղանուտազուս մաքլունուտ չուցիւթիւնուտ մուս տաչ գաճինժուղլ  
Դանցառու մոռչաթիւ, Իռմելութապ ջուզաք Շղմբնջլուս Տալ-  
եծու Տամալունունուս քա Եղալունջունուս Տօպարդուղլուս  
Ճաճչունութեաս, քա Յղադրչիթ Շղմբնջունուս առաջուսապ Շարմացրու-  
թապ ընամացրուղլ Տամացքունուս, Իռմելութապ ճարտաղլ-  
ուս Տօպարդունուս Շղմբնջլուս.

Ճանճուղան յարուցանուն.

ԱՅ Հցեցի Շեցի գարւա, „Ուշանուս.“ Իցայի Արաման  
Ցուլու որու Շեմացրու Հցեցի Շապ:

### Ճանճուղան:

Մոնաթուղարծեաս ջուղիթ Իւ Եղլունուս քա Շուղանուտ  
Տամալունունուս ճպացառ Տաղականուս առևշտունուս ջղով-  
Կամբիադունուս, օշ Տպանուս, Իռմելութապ Կղլուցունուս ջրու-  
նուս ջուրնեղլունուս մուգանա մի-20 Տաղականութիւն չուցիւթիւ-  
թ Շղմբնջունուս Տամալունուս Տաղականուս Բարմացրեաս.

յարուցանուն Խոսքնուն.

### Կրեսանցալուղան:

Տօսարդունուտ Յղալութապ ընամացրուղլ Տանցանու-

შეს პი წლაც შესრულებას ქართულის თეატრის დაა-  
რსებიდვან და გელათ გისურჯემთ წარშეაცემას შემდე-  
გშიააც.

დაროთელი წინამდებრიშვილი, ივანე გლოვზიშვილი, კნ.  
ფლეხია მარგელი, სანდრო გარებელი, რეინი ფავლენიშვილი, ალექ-  
სანდრე წინამდებრიშვილი, გირიაშ წინამდებრიშვილი, ივანე ორჯო-  
ნიძე, ლაშარე კვინიძე, განა ცეჩაძე, თეკლე ცისკარიშვილი,  
გილო ფავლენიშვილი, სოჭაუ ბაქაძე, თეკლე უზნაძე.

დასასრულ ბ-ნშა კ. მესხმა მშვენივრად წაიკი-  
ცხა ლექსები, რომელშიაც დასურათა ჩვენის თეა-  
ტრის აწ განსვენებული მოლვაწენი. ვაკეპლავთ აქვე  
ამ ლექსებსაც:

### თავ. 8. ს. ვარანცოვი.

ქართულ თეატრის დაარსებიდამ  
ორმოცდა ათმა განვლო დღეს წელმა  
და ეს დღე უნდა აღსებდოს გულმა  
სადიღებელ დღედ ევენია ქართველმა!!

ესმა იმ კრემნო-ა-მორიელ კარებსა,  
ჩატრიკის ცემა, დიდი სასიყლი,  
ვინც სათავემი საგვირგა მცხელად  
და მოგვაწოდა მსობლურად ხელი!.

ბრძანებისამებრ თეით-მცურობებისა

მოვლენიდ იეო ის საქართველოდ,

მისი აკ-გარების, ბედ-იღაბლისა

მარადის გამგეთ და სამართველოდ.

დიდ ბუნებოვანს, ღრმა პოლიტიკობს  
შორს მშვირეტელობა ჭილდა დიადი:  
ფიცხლავ შენიშნა, ჩვენ საქართველოს  
რა მხრით ჭიარავდა უკრო წევდიადი.

სულით მაღალმა და ჭკვით სრულმა,  
რა ხელოვნების სწავა უოვლი მაღა—  
სთქვა: „ნაწამ ხალხის სიტყვიერება  
უნდა აღსდგესო!“ სხვას არ აცალა!

გახსნა სალარო, კეთილ საქმისთვის  
უხვად მოგვინა ოქრო და ვერცხლი,  
გრძნობის სიმებზედ ხელი ჩამოგამარა  
და დაკარგული აღგაინთო ციცხლი!!

ტბ` იღის ალექსით, პრძნულის სიტყვებით,  
გონიერ რჩევით, მოგებილა უგება  
და იმედები აღორძინების  
გულს ჩაგეისახა ჭით ცისარტევენა!!

ის გმირი იყო! იყოს კურთხეული  
იმის სახელი ზუდად აშერ,  
და იდღებრძელოს იმისმა სსოფნაშ  
ქართველთა გულში პრაგალუჟამიერ!!

#### ზურ. ათონოვი.

ვით ცალ-მარტილზედ დობე წნულისა  
უსხვა-მარტილოდ არ მოიწვინება,  
ისევე პალა ერთის ქაცისა  
დიდ-საქმისათვის მქრალადა ჩნდება...

და აჭა იგი, ქაცი მემველი,  
კანა მახვილი, დარბაისელი  
გამოყენება დიდ საქმის დამწევბი,  
შეიქმნა მისი მარჯვენა სელი!!

კურთხეულ იყოს იგი მარჯვენაც,  
„მზის დაბნელება“ რომელმა სწერა,  
და მოგვაჩვენა ვითა სარკები  
ჩვენი ცოდვანი და ბედის წერა!!!

#### თ. დ. ვრისთავი.

დიდის საქმისა დამწევბის მკილი,

ქართული სტენის დიდი ერთგული  
უძროოთ მოკვდა, შაგრამ ჯერ ჩვენში  
ცხოვლად ტრიალებს იმისი სული!

არ დაივიწყებს მას მის საშობლო,  
სადაც გირსატავს წამებულ გმირებს!..  
ღმერთო კურთხევას შენ ნუ ააღებ  
ამ გვარ მოღვაწეთ და ამ გვარ შირებს!..

#### ა. ზაჟბეგი.

ვინ არ დამტკბარა მის ელგუჯათი?  
ვის არ უნახავს მისი არსენა?  
ან წამებული ქეთევან წმიდა,  
ან მისის მოძღვრის ცრემლებთა დენა?

წარვიდა, განქრა, თვალთ მიგვეჭარა,  
საშობლო მთებში სულით ტრიალებს,  
იმის ცივ ლოდზედ ნამდვილ ქართველის  
მამულიძეილის დროძა ჰურიალებს!!.

#### დ. ი. ზიფიანი.

უცხო მწერალთა მეორეას საუნჯეს  
ტკბილის ჰნგებით, კეკლუცის ენით

ვინცა პირველად მოჰყიდა სული  
და გაგვიტაცა მისის მოსმენით.

ვინც ქვეუნის კეთილს ჰუიქრობდა მარად  
გულით მხურვალით, წმინდის გრძნობებით...

ვამა შენს სახელს ტკბილო მოხუცო!  
ვამა შენს საქმეს საძირკვლიანსა!!!..

თავ. 8. მრისთაში.

ვინც ენა მშობლის, ივერიელთა,  
ენა მახვილი და ენა ტკბილი  
პირველ გვასმინე საჭაროდ უველას  
და შეგვაევარე ვით მმა და შეილი!.

შენ, ვინც პირველია გაჲკარი ტალგვესზე  
და ჩვენში გრძნობა ჩამოაგვესვა,  
რომელმაც ენის თაუკანის-ჯემა  
და სიევარული გულს შოაგვითესვ...

ჩვენ წილი მოგეზღოს იმაკე ენით  
გურთხევა საჯსის, გურთხევა ერის,  
რომელიც აგერ ტკბილის ღიმილით  
და მოწირებით შენ შემოქცერის...

დღეგრძელი იქოს შენი სახელდ  
და შენი ხსოვნა ზეცათ ამიერ;  
დღეს დადაფნილო ჩვენ უგელასაგან  
უკიშუი იქავ მრავალუკამიერ!!.

მოხსენება დრამ. საზოგ. გამგეობისა,

ბატონებო. დღეს ქართული თეატრი დღესას-  
წაულობს თავის ნაბევარ საუკუნის სიცოცხლეს;  
ხწორედ 50 წლის წინად, ორ იანვარს, ქართველ  
საზოგადოებაშ პირველად იზილა ქართული სცენა;  
ქართველმა ყურმა პირველად მოისმინა ქართული  
წარმოდგენა და ქართულ მწერლობაშ პირველად  
შეიძინა ქართული პიესა და აი, მას შემდეგ მოთ-  
ხოვნილება თეატრისა, ხელოვნება სცენისა თანდა-  
თან ვითარდებოდა, წინ მიღიოდა და მძლავრდე-  
ბოდა, ეს კულტურული ზრდა 1879 წ. დაბოლავ-  
და ქართული მუდმივი სცენის დაარსებით, რომ-  
ლის აურ წლის არსებობა გასულ სექტემბერში  
ვიდლესასწაულეთ, ხოლო 1880 წ. დრამატიული  
საზოგადოება შესდგა. ჩვენ, როგორც საზოგადოე-  
ბის წარმომაბადენელნი, ნებას მიუკემთ წვენს თა-

ვს ამ სასიხარულო დღეს მოქლედ მაინც გაგაცნოთ  
საზოგადოების მოვალეობა და მდგომარეობა.

ჩვენი „საზოგადოების“ ოფიციალური წელთ  
აღრიცხვა იწყება იმ დღიდან, რა დღესაც კავკასიის  
ნამესტნიქს მიერ დამტკიცებულ იქმნა მისი წეს-  
დება, ე. ი. 22 ივნისი 1880 წ. წესდებაზე ხელი  
უწერიათ 29 დამფუძნებელთ, რომელთა შორის  
ჩვენ ვხედავთ პოეტთ, პუბლიცისტთ, არტისტთ,  
სცენის მოყვარეთ და სხ. ერთი სიტყვით, ცველა  
იმათ, ვისაც-კი ჩამე წვლილი შეუტანიათ საზო-  
გადო ცხოვრების სალაროში. ამ დღიდგან სატეატ-  
რო კერძო კომიტეტები, რომელნიც ხშირ-ხშირად  
ჩნდებოდნენ და ისევე ხშირად ქრებოდნენ ადგილს  
უთმობენ მუდმივ და შეურყეველ საზოგადებას,  
რომლის მიზანი და საშუალებანი განსაზღვრულია  
მის წესდებაში.

„ქართული დრამატიული საზოგ.“ ფუძნდე-  
ბა ქ. ტფილისში იმსთვის, რომ დაეხმაროს დრამა-  
ტიული ხელოვნების წარმატებას კავკასიის სანამეს-  
ტნიკოში მცხოვრებთ ქართველებს შორის. ამასთა-  
ნავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულ  
წარმოდგენების გამართვას კავკასიაში. (§ 1).

ამ მთავარი მთხის მისაღწევათ „საზოგადოებ-  
ას“ უფლება აქვს: შ, მოიპოვოს საკუთრებად და  
დაიჭიროს როგორც ზალა წარმოდგენების გასამა-

რთავად და სახლი საზოგადოების ქონების შვილაბ-ავად, უგრეთვე ყველა ის, რაც სცენისათვის საჭიროა.

ბ, ათხოვოს თავისი ქონება სამუდამო ტრუ-პას და სცენის მოყვარეთა წრეებს.

გ, ნივთიერად დახმაროს დრამატიულ მწერ-ლებს და არტისტებს.

დ, გამოსცეს ქართულ ენაზე ორიგინალური დრამატიული თხზულებები და, თუ საჭიროება მოი-თხოვს, გამოსცეს გაზეთი ან ურნალი განსაკუთ-რებით დრამატიული ლიტერატურის და კრიტიკი-სათვის.

ე, დაენიშნოს ჯილდო ქართულ საუკეთესო დრამატიულ თხზულებებს.

ვ, და გამართოს ტფილისში სათეატრო კლა-სები და დროებითი კურსები მოსამზადებლად და გახავარჯიშებლად არტისტებისა (§ 2).

აი ბატონებო, რა დიდი და ფართე მიზანი აქვს ჩვენს საზოგადოებას და თუ ყველა ეს არ სრულდება — ამის მიზეზი „საზოგადოების“ ხელმო-კლება და სიღარიბეა. მისი შემოსავალ-გასავალი დამყარებულია საწევრია გარდასახადებზე (პ. მ. წლი-ურად), სხვა-და-სხვა შემოწირულებეზე და, როცა სეზონს აწარმოებს, სპეციალურების შემოსავალზე. ყველა ეს-კი ცვალებადი და საეჭვოა. „საზოგადო-ებას“ არ აქვს ისეთი თანხა, რომელსაც შეეძლოს

შისი არსებობა და ფართვ მოლვაწეობა უზრუნველ  
ჰყოს.

საზოგადოების პირველი კრება მოხდა 1890 წ.  
და პირველი გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ:  
თავმჯდომარედ—თავი. ილია გრიგოლის-ძე ქავეკავაძე  
თავმჯდომარის ამხანაგად თ. აკაკი როსტომის ძე  
წერეთელი, მდივნად—კოსტანტინე დიმიტრის ძე  
ყიფიანი, ხაზიშაღრად—თ. გიორგი მიხეილის ძე  
თუმანიშვილი და წევრებად: თ. რაფიელ დავითის  
ძე ერისთავი, ნიკოლოზ დავითს ძე ქანანოვი და  
მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.

ქართულ სუნაზე დღემდის წარმოუდგენიათ  
დაახლოვებით 21 ს სხვა-და-სხვა პიესა ამ რიცხვში  
კომედია-ვოლევილები 139, დრამა-ტრაგედიები 80.  
ამათში ორიგინალურია მხოლოდ 85 პიესა (51 კო-  
მედია-ვოლევილები და 35 დრამა-ტრაგედიები).  
ორიგინალური დრამები, რამდენიმეს გარდა, სულ  
ყველა ისტორიულია. ქართველი დრამატურგები დღე-  
შიდის მთელ თავის ნიჭს წარსული ცხოვრების და-  
ზატეას ანდომებენ და აწმყო ცხოვრებას საკმავი  
ყურადღებას არ აქცივენ. არის აგრეთვე ისეთი პი-  
ესებიც, რომელნიც, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო,  
სუნიზე ჯერ არ დიდგმულია. პიესების ავტორთა  
რიცხვი იდის 30-დე, ხოლო მთარგმნელების 20-მდე  
როგო ავტორი იმავე დროს მთარგმნელიც ირის).

აი მათი სახელი და გვარი. ავტორები: თავ. გიორგი ერისთავი, ანტონოვი, თავ. რაფიელ ერისთავი. თ. დავით ერისთავი, სუნდუკიანცი, ავქსენტი კაგარელი, აკაკი წერეთელი, ივანე კერესელიძე. ანტონ ფურცელაძე, პ. უმიკაშვილი, ალ. ყაზბეგი, ვ. გუნია, კ. მესხი, ლაზარიშვილი, გულისაშვილი, აზიანი და სხ. მთარგმნელები: დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, ნიკოლოზ ავალიშვილი, ანასტასია თუმანიშვილისა, ანდრია ლულაძე, ივანე მაჭარიანი, პეტრე ყიფიანი, ალექსი ჭიჭინაძე, და სხ.

ამ ოცის წლის განმავლობაში დრამატიულ საზოგადოებას ყოველთვის არ უწარმოებია სეზონი. 1892 წლამდე უმრავლესს შემთხვევაში კერძო პირები აწარმოებდნენ და საზოგადოება ეხმარებოდა. ხოლო შემდეგ-კი გარდა ორი სეზინისა (1895/96 და 1897/98 წწ.) გამგეობა მართავდა და მართავს წარმოდგენებს, აღნიშნულ ორ სეზონს აწარმოებდა კერძო ამხანაგობა, რომელსაც „საზოგადოებამ“ 900 გ, სუფსიდია მისცა. დანარჩენ ხუთ სეზონში გამგეობამ დადგა 141 წარმოდგენა, საიდგანაც შემოვიდა 46.583 გ. 12 კ. მაშასალამე თითო წარმოდგენას საშუალოთ შემოუტანია 363 გ დახარჯულა: თეატრის ჭირა—13772 გ. 70 კ. არტისტების ჯილდო 32,691 გ. 88 კ. გარდერობი - 1626 გ, ტანისამოსის- იარაღების და სხ. ჭირა—1142 გ. 83 კ.

განცხადება და აფიშები—2286 მ. 64 კ, სულ 51,  
819 მ. 9 კ. ლაპარჯულა 141 სპეცტაკლის გამარ-  
თვაზე. დეფორიტი—5236 მ. იქ არ ვთლით იმ ხარ-  
ჯებს, რომელებსაც სპეცტაკლებთან პირდაპირ და-  
მოკიდებულება არა აქვთ. როგორც მაგ. შესაწევა-  
რი არტისტებს—924 მ. 29 კ. ბიბლიოთეკის—683  
მ. 5 კ. და სხ. ცხადია, საზოგადოებას რომ სხვა  
წყაროებიც არ ჰქონდეს—მას არსებობა აღარ შეე-  
ძლებოდა. საზოგადოების უმთავრესს წყაროთ, გარ-  
და სპეცტაკლებისა, უნდა ჩაითვალოს ტფილისის  
სათ. აზნ. ბანკის სუფსიდია, საიდანაც საანგარიშო  
წლებში მიუღია 5950 მ. და საქველ-მოქმედო სა-  
ლამოები, თუ წარმოდგენები, რომელნიც ყოველ  
წლივ იმართება გულ—შემატებულება მანდილოსანთა  
თაოსნობით. ესენი გახლავან უგანათლებულები კნ.  
თმარა გრუზინსკისა, უგან. კნ. ს. გრუზინსკისა,  
კნეინა ნ. ჩოლოვაშვილისა, კნ. მარიამ თუმანიშვი-  
ლისა, დარია ჭავჭავაძისა, კნ. ანდრონიკაშვილისა,  
კნ. ვიტგენშტეინისა, კნ. მარ. ჭავჭავაძე და სხ. ამ  
სალამოებიდან წმინდა შემოსავალი საანგარიშო  
წლებში დარჩა 7 ათასი მან. გარდა ამისა საზო-  
გადოებას მოსდის. შემოწირულება ბაქოს, განჯას  
და სხვა ქალაქებში გამართულ სალამოებიდან. განსა-  
კუთრებით სასიხარულოა თ. გოლიცინის უხვი  
შემოწირულება (2,000 მ.), რაიცა თავდებია ჩვენი

საზოგადოების სიმკვიდრის და დღეგრძელობის...  
სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ 7 წლის  
განმავლობაში საწევრო ფული შემოსულა მხოლოდ  
1270 გ. სულ საანგარიშო წლებში შემოსულა 76,  
857 გ. 85 კ. დახარჯულა 74,712 გ. 27 კ. და  
ნაშით 214 გ მანათით დაკიწყეთ შემდეგი სეზონის  
წარმოება.

ტუილისის ქართულ სკუნას ამ უამათ ემსახუ-  
რებიან შემდეგი პირები: ქ-ნი ნატ. გაბუნია-ცაგა-  
რლისა, ელ. ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისი, ტა-  
სო აბაშიძე, ნებიერიძისა, გარელი და სხვა. ბ-ნი  
ვ. აბაშიძე, კ. მესხი; კ. ყიფიანი, სვიმონიძე, გელე-  
ვანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, და სხ. დრო  
გამოშვებით წარმოდგენებში მონაწილეობას იღე-  
ბენ მ. საფაროვ-აბაშიძისა და ბ. ვ. ალექსი-მესხი-  
შვილი. საზოგადოების გარდერობი რაც შეიძლება  
განახლებული და შევსებულია. გარდერობის ღირე-  
ბულება აღემატება 3,000 გ. აგრეთვე შევსებულია  
ბიბლიოთეკა და წეს-რიგში მოყვანილი. დაბეჭიდი-  
ლი თუ დაუბეჭდავი პიესების რიცხვი ათასს აღემა-  
ტება.

საზოგადოებას ჰყავს ამ უამათ 205 წევრი. ამათ  
შორის საპატიო წევრებია უგანათ. თამარა გრუზინ-  
სკისა, კნ. ჩოლოყაშვილისა, თ. გოლიცინი, თ. რა-  
ფიელ ერისთავი და თ. გიორგი თუმანიშვილი.

აი, ბატ ანებო, ჩვენი თეატრის და ..საზოგადობის“ მღვმარება. ის ნელ-ნელა იზარდა, ჩვენ ცხოვრებას ფეხ-და-ფეხ მიჰყვა და ქართველ ზალ-ხში საპატიო ალაგი მოიპოვა. ქართული თეატრი დღეს მიუკილებელ მოთხოვნილებად გადაიჭირა, წინსვლის ერთ ჩირხად შეიქმნა და ეს ძლიერი კულტურული ფარ-ხმალი შევაძინეთ ჩვენ ამ უკანას-კელ 50 წელში. ასეთი საერთო დაწესებულება, ასეთი გონიერის და ზნეობის ამშალებელი სკოლა, რასაკეირელია, თავის საკუთარ ბინას საჭიროებს. ასეთ ბინად დღეშის ჩვენ გვქონდა აი ეს დიდი შენობა. მაგრამ მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს პინაკი ახლა სათუოდ გადაცვექმდა და ფინიცის, შეიძლება, მომავალ სეზონიდგან ქუჩაში დაკრჩეთ გამოსროლალი, ამ შენობის გამგეთ აზრად აქვთ თეატრი დააჭურონ და შის აღაგას სხვა რამებ უფრო შემოსავლიანი შენობა ააგონ. მაგრამ ნუ თუ ჩვენმა მამებმა 50 წელი იმიტომ იმოღვაწეს, ამრომ დაყენეს ფცხვე თეატრი, რომ ჩვენ ის მეოცე საუკუნეში მოვიძულოთ და მიწასთან გავასწოროთ? არა, ამას არ ვიქმთ ჩვენ და მოგმართავთ უქვენ ამ გზაზე ხელი გამოგვიწიოთ“.

ამას უნდა დავსძინოთ, რომ როცა თ. ილია ჭავჭავაძემ გაათავა წაკითხვა წერა-კითხვის საზოგადოების მილოცვის წერილისა ჩვენის თეატრის

ორმოც-და-ათის წლის დღეობის გამო, დასძინა შე-  
მდეგი სიტყვა, როგორც „ივერიის“ რედაქტორმა.

„თითქმის იმ დღიუამ, როცა ჩვენი თეატრი  
დაიბადა, ფეხი აიდგა ჩვენმა უურნალ-გაზეთობამაც.  
ამ მხრით ჩვენი თეატრი და ჩვენი უურნალ-გაზე-  
ოლბა თითქმის ტოლები არიან და ჩვენ შემთხვევა  
გვაძვს ტოლმა ტოლს მიულოცოს და სალესასწა-  
ულო სალამი ძმამ ძმას დაუყეფოს.

შექსპირმა სთქვა: „არარაისაგან არ იქმნების  
არარაიცაო“. ჩვენმა თეატრმა ცხადად დაგვანახვა,  
რომ შესაძლოა არარაისაგანაც იქმნას რამ. ამ ორ-  
მოც-და-ათის წლის წინად არა რა იყო და ეხლა  
ფხედავთ, რომ ამ არარაისაგან იქმნა ჩვენი თეატრი.  
მარტო ის, რომ იქმნა ჩვენი თეატრი,— ეს ჯერ  
კიდევ ბევრი რამ არ არის, საჭმე ის არის. რომ  
იქმნა, გაიზარდა, გაძლიერდა და ორმოც-და-ათ  
წლოენან ასაკამდე მოიყარა. რამ მოადინა ეს თით-  
ქმის სასწაული? მხნეობამ და თავ-დადებულმა სი-  
ყვარულმა მამულიშვილობისამ. დიახ, მარტო მხნე-  
ობას შესძლებია არამც თუ არარაისაგან რისამე  
ქმნა, არამედ ქმნილის გაზდა და გაძლიერება. მე  
არის ვიტყვი თეატრის ლირსება-მნიშვნელობაზე.  
დღეს აქ ბევრი რამ ითქვა ამ საგანზე უჩემოდაც.  
მე მოკლედ მოვქრი სიტყვას და სიამოვნებით აღვ-  
ნიშნავ, რომ ჩვენმა თეატრმა, მისმა ზრდამ და გა-

ძლიერებამ ცხადი მაგალითი გვაჩვენა იმისი, თუ — რა შესძლებო მხნეობას, სიქმიხეთვის თავ-დაღებულს. ტყუილათ კი არ უთქვამთ ჩვენთა წინაპართა. მხნე იყავ და გაძლიერდიო.

„მოგილოცავთ რა ამ ორმოც-და-ათის წლის დღეობას ჩვენის თეატრისას, ვისურვებთ ჩვენის თეატრის მოღვაწეთათვის ცალკე და ჩვენ ყველა-სათვის საერთოდ, რომ თითოულს ჩვენგანს გულში ანდერძოთ ჩაჰდეულ ჰქონდეს: ვიმხნეოთ და გავ-ძლიერდეთ“.

2 იანვარი 1900 წ.

ქუთაისში.

როგორც მოსალოდნელი იყო ქუთაისის პატ-  
არა დასმაც იდლესასწაულა ქართული თეატრის 50  
წლის არსებობა. სალამოს პროგრამა მხიარულის ვო-  
დევილებისაგან შესდგებოდა და ჩვეულებისამებრ  
მხიარულათ ჩაირა. აქვე მოგვყავს სალამოს პროგრამა:

ქალაქის თაფრი

კვირას, 2-ს იანვარს 1900 წელს

50 წლის ქართული თაფრ. არსებობის სადღესასწაულ-  
ოდ დანიშნულია საიუმრის წარმოდგენა თ. გრ. აბა-  
შიძის თ. შ. ტეჭის და პ. ს. ალექსანდრუ--მესხიშვილის  
მორაწილობით, წარმოდგენილი იქმნება:

I

50 წლის დღესაცაშალი

II

სამზადისი

სცენა 1 ბოჭბერება ქართული თაფრის ღაარსების  
დროიდან, პ. უმიკაშვილისა, მოქმედი პირი:

თავადი მასაილ სამითნისპერ გარემონტა.

შ. გ. სლავაკა

კრ. ტეთევან თანმიმდევრისა

დ. ბუანაძე.

მართლ ანდრეევისა.

ქ. ჩხეიძე

კრ. ფასო გაგარინისა კონაქტა თანმიმდევრისა

ქ. ვაჟაპერე

გრიგოლ შავშეთიშვილი.

გ. ჩარჩოვანი

თავადი რეგაბ ქართავი	აშელაძე.
თავადი გიორგი ქართავი	მ. ქუჩი.
პლატონ იოსელიანი	ა. ა.
დიმიტრი იანელიანი	შ. შალაძიანაძე.
თავადი გამოცხავი თემელიანი	გ. თემელიანი
თავადი ილია თემელიანი	ჭ. არაბელაძე
შიხაძე ჭილაძე; ი	შ. ა. ა.
შიხაძე ი	თ. გრ. არაშელი
შესფერო	

### III

#### დ ა ვ ა

კომიტია გიორგი ქრისთავისა (წარმოდგენილი იქნება	
IV მოქ.) მოქმედნი პირნი:	
სცენიაპრი ხარისული გვიაცყვანი	მ. ალექსანდრე მეტებიშვილი
სარძის მუდრანის კუმუხეთოვა	მალაპარიშვილი
შეგლარ ლაპარელი .	გ. გ. ჩარევანი
შიხაძე ხარაძე	ჭ. არაბელაძე
ლომინ გოდაბრიული იმიტალი	შ. ა. ა.

### IV

#### ღმერთება უეგაგეროვანეთ

კომიტია 1 მოქ. გ კოლეგია. მოქმედნი პირნი:	
გამარჯვე ჩამოსახული	შ. ქუჩი.
ყლპიცე აპილ ქალი	დ. იარაშიძე.
ფართიალ საჭაპარაძე	მ. მალაპარიშვილი

### V

#### არც აქმთ-არც იძით

უორუკილა 1 მიძ. კ. გურიაშვი. მოქმედნი პირნი:	
ფირადი მოღერაძე	შ. შ. ქუჩი
ანცონ კარლეყაბრიაძე	გ. მალაპარიშვილი
ჭავჭავაძე; ილია საჭაპეტიანი პაცრონი	ნ. მალრაძე;

օռնօրանց ամձած մեսաւդրո  
Յղիղմօկ. ծօփ  
դրօգ, թղթաբուժալու<sup>1</sup>  
Վահանչյան

ՃՌՀԱՃԳ  
Հ Հ  
Բ. Յահանճ  
Ը. Քջագաճ

Հյուսվածություն Ֆլ. Ալյովսկյուզ-Յեսինշվոլո

Ավոգյունի ցամարտա մեսամյ մովմելքեպանո. Տրյ-  
նաչյ ոյս գագաթունու Ֆ. յրուստացու և Սյուրատու  
շունու ցորունանդընոտ. այսու ոյնու մեսարյ համոմթյուր-  
քընունու ոյցնեն մեսանոննո, եղլմու ցորունունոտ.  
Սյուրատու սյան պարա մալլոնթյ ուղցնեն յլյոյ-  
թունունու ցանաւունու յ-նո Ե. հետու (Մելքոնմենա)  
գա ցր. ածանուց (Ցոյցիս) հոմելուապ წարկութես  
ցր. ածանունու մոյր Շյունունու գուլոցո (Մելքո-  
նմենա լա Ցոյցիս)“.

Ծուլունու Շյունու տապ. Ֆ. Ե. գագանմա Քահ-  
անստյա Շյունու Տուրպա:

„Ծուլու ու գոյա, հոմելուապ պատունո Շյունունու  
յարուցու Տուրպա ալցեսունո, մագլոնթու ունեց-  
նունու ոմ գուգ-Քահա հոմելուապ Ցոյցունու ցամամա Ցո-  
յունունու յարունու Տուրպա յարունու աթլագ ցահենուն  
Տրյնաչյ. յս ոյս ամ 50 վլուս վոնագ, Տվորյաց գոյ-  
ցանցունու գոյա. Ցրիպոնցալու գարեանու տնօնունուն  
ցոմնանունու, Տարմագցենա ոյս ցամարունու, Տա-  
սյ ոյս գուգ-մալու Տանցագոյնուտա, ոյցու Շիմանցը-  
նունու մանունցունու „Խամցւունոյ“ հայնու յայցնունուս ո.  
ցարան պարու, հոմլուս գաթմարեպուտ լա Շյունունունու

წელი მოიმაგრა შემდეგ ჩეუნბა სცენამ, მთელი მოწინავე ქართველობა იღებდა მონაწილეობას წარმოდგენაში... წარმოდგენაშ მშევნიერად ჩაიარა, საზოგადოება აღტაცებული იყო და აი რასა სწერდა ამ წარმოდვენის შესახებ მაშინდელი რეცენზენტი გამ. „კავკაზისა:“ „Въ первый день второй половины текущаго столѣтія, на сценѣ Тифл. театра была разыграна комедія Кн. Эрастова „Раздѣлъ“. Играли грузинскіе актеры, играли на грузинскомъ языкѣ, играли піесу написанную грузиномъ. Комедія явилась во время, она попалась такъ сказать въ такъ, посвяено сѣмѣ, которое современемъ принесетъ цветы и плодъ“. ამ დღიდან დაარსდა ქართული თეატრი.

მართალია პირველჯერ მკვირცხლად წასულმა საქმეზ გასტანა მთოლოდ 1855 ამდის, მავრამ მაინც შემდეგაც იძართებოდა წარმოდგენები. სცენის მოუვარეები არ იძინებდნენ; 1879-კი შესდგა წრე უფრო მჰიდრო სცენის საქმის მწარმოებელი და დაარსდა დრამატიული საზოგადოებაც დამტკიცებული უმაღლესი მთავრობიდან, მას შემდეგ ქართულმა სცენამ მოიდგა უფრო მკვიდრათ ფეხი, შექმნა სამუდამო დასი და მის საქმეს თან-და-თან განვრცობას უპირობს. ამავე ხანებში არც ქუთაისი იყო გაყუჩებული. მისი სცენის მოყვარულები მასაც კი ჰყავდა

და აი 1865 წ. იმართება პირველი წარმოდგენა  
მაშინდელ გუბერნატორის სახლში, რომელსაც შემ-  
დეგ სამეფო სახლი ეწოდა. წარმოდგენილი იყო  
„შეშლილი“ გ. ერისთავის და ღებულობდა მონაწილე-  
ობას მრავალი წარჩინებული პირი. ამ გვარათ ქარ-  
თულ თეატრს ჩვენს ქვეყანაში თან-და-თან უმაგრ-  
დებოდა საფუძველი, უმტკიციდებოდა და საეჭველი  
არ იყო მომავალში გამარჯვების გზას დაადგებოდა.  
ჩვენ აქ არ მოვისწენიებთ ყველა იმ ფაზისებს, რო-  
მელიც გამოიარა ჩვენმა თეატრმა, ის ხანები, რასა-  
კვირველია, ხშირად იყო ბნელით მოცული: ხშირად  
სხიოსანი, ხშირად ბორძიკიბდა, ხშირად მითოხარი-  
კობდა, მაგრამ დღევანდლამდე, დღეს მე-50-თე წე-  
ლიწალია დაიკვა თვისი არსებობა. დიახ, თესლი  
უკვე დავარდა ნაყოფიერ ნიადაგზე, იგი, ამოვიდა,  
გაიზარდა და ეხლა ამ 50 წლის შემდეგ ისეთი შტ-  
ო ებიანი მცენარეა, რომ ჩვენს ორ დედა ქალაქ-  
ში მას უკვე საკუთარი წიადაგიც აქვს. გართალია  
კიდევ სუსტია, ნორჩია ეს ძცენარე, ესე იგი ჩვენი  
სცენა, ჯერ კიდევ ბევრი მოვლა და პატრონობა  
უნდა მას, მაგრამ მან უკვე გააბა მცუცუ სულიერი  
კავშირი თავისსა და ხალხის შორის, გაიჩინა მკვი-  
დრი ბინა მის გულში და ამით უეჭველ და უზრუნ-  
ველ ჰყო თვისი სიცოცხლე. ეხლა არც ხალხი უარ-  
ყოფს მას; მულამ მხარს დაუჭერს, წელს გაუმაგრებს,

რადგან საბედნიეროთ ის კეშმარიტება ბევრმა შეი-  
გნო და შეტიც შეიგნებს, რომ ალორძინებული ლით  
ტერატურა და თეატრი ერთს ძალ-ლონება, ერთს წინ  
სვლა. მაში გაუმარჯოს მათ სახელს ვისაც დაუფუძ-  
ნებია ესეთი საქვეყნო საქმე, ვისაც შემდეგში არ  
მიუძინებია და მხარში მოდგომია მას, ვისაც ამ დღე-  
მდე მოუყვანია. გაუმარჯოს ჩვენ მშობლიურ სცენას  
და გაუმარჯოს იმ ხალხსაც, რომელიც შეგნებით  
მოეპყრობა თავის საქვეყნო საქმეს და არ დალუ-  
ჰავს მას.

ვ. ბალანჩივაძემ წაიკითხა გრ. იბაშიძის ლექსი:  
თ. ზიორგი გრისთავის სახსოვრად.

ოდეს სახელი, დიდი ოჯახი  
და ძველთა-ძველი წეს-წუობილება  
განჭირა, განქარდა მეუმნეველათ....  
მაშინ ამისმა ჩანგმა მტირალმა ..  
ჩამჭრალ კერაში ჩვენი ცხოვრების  
კვლავ სასიცოცხლო ცეცხლი ჩაჰქვესა;  
დაგვიდგა სარკე ხელ-უხლებელი,  
შიგ დაგვანახა ჩვენი ცხოვრება,  
იტირა, მოთქვა სულით დაცემა

გადმოანთხია თვალთ მღუღარება;  
ენა მდიდარი, შეფერხებული  
კვლავ განალვიძა, აღაუგავილა,  
მითვლემილ გრმნობას ეროვნებისას  
მან გაუთენა სანატრი დილა!.. .  
და როდეხაც რომ სრულის ღირსებით  
მან შეასრულა ეს მძიმე ვალი,  
მამა-შვილურათ გამოგვესალმა  
და სამუდამოთ დახუჭა თვალი...  
დიდება მისსა ამ ნათელ შრომას;  
ნეტარი იუოს შენი სსენება,  
ჩვენგან მადლობა და სიუვარული  
საძვილი-ძვილოთ მოგეხსენება.

ამის უმცველესი დაცითხა თავ.  
6. მრისთავის ლამსი „კაცი ის არმს“.

---

კაცი ის არის, ვინც მისდევს  
დიდის მოძღვრისა მცნებასა,  
ვინც მომშეს გულსა გაუხსნის,

თავს რუცილებს კნებასა,  
ქურავ-ობლებს ცრემლებს მოსწმენდავს,  
მოუსმობს გაჭირვებასა,  
ისრძების და იბრძების ერისთვის,  
ქვეყანას მისცემს შეებასა!

---

კაცი ის არის, ვინც მამულს  
კამოადგება შეილადა,  
ვისაც სამძობლო ტამრად აქვს,  
თავი—სამსხვერპლო წილადა,  
ქვენებისა ცრემლი ჭირად უჩნს,  
მისი ღიმილი—ლხინადა,  
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,  
გას შემოავლებს ფთილადა!

---

კაცი ის არის, ვინც მამულს  
ეტრუის და ეთავევანება,  
ვისაც ვერ დასმლევს მტრის ოქრო,  
ვერც მისი მკაფიო ბრძანება;

ჭინაც სამშობლოს ოხვრისთვის  
ლომ—გული მოეფხანება,  
ჭინც დასთხევს მისთვის წმინდა სისხლს,  
მოწამეს დაემგვანება!

თვითეულ ლექსებისა და სიტყვის წაკითხვის  
შემდეგ უკრავდა სამხედრო მუსიკა ქართულ მრავალ ეამიერს.

დასმა რამდენიმე ტელეგრამაც მიიღო. ზოგი-  
ერთი აქვე მოგვაუს:

თბილისიდგან: მმართველობა დრაშატიული სა-  
ზოგადოებისა ულოცავს ქუთაისის დასს 50 წლის  
არსებობის დღესასწაულს ქართული თეატრისას.

სულჩანიშვილი,

გილოცავთ ამხანაგებო ქართული თეატრის 50  
წლის არსებობის იუბილეის. ვსწუხვარ რომ თქვენ  
შორის არ ვიმუოფები.

ქვევან ანდრონიკაშვილისა.

გილოცავთ რა იუბილეის 50 წლის ქართული  
თეატრის არსებობისას, ვისურფებთ აყვავების ქარ-  
თულ სას ცენო, ხელოვნებისას.

კვირილის ახალგაზღიუა.



# გ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა.

მომზადებულია დასაბეჭდათ და ამ მოკლე  
ფროში დაიბეჭდება თხზულება თომა ჰექ-  
სლისა:

„ორგანიული პუნების მოვლენათა მიზანმიზი“.

ექვსი ლექცია, რომელიც მან წაუკითხა  
მუშებს,

## შ ი ნ ა ა რ ს რ :

1. ორგანიული ბუნების დღევანდელი მდგომარეობა.
2. ორგანიული ბუნების წარსული. 3. მეოთოდები,  
რომელთა შეგნებით გამოვიყვლევთ დღევანდელ ჰ  
წარსულ მიზეზებს ორგანიული ცხოვრებისა. ცოც-  
ხალ არსებათა გაჩენა.
4. სიცოცხლის შეუწყვეტლობა, მემკვიდრეობათა  
გადაცემა და ცეკლებადობა.
5. გარეგან პირობათ გავლენა სიცოცხლის განგრძ-  
ობაზე.
6. კრიტიკული განხილვა — ~~მისა~~ — თუ რა ადგილი  
უჭერია დარვინის „~~ფრთხილების~~“ „მოდგმათა წარ-  
შოშობა“ როგორც ~~რა განვითარებუნებისა~~ მიზეზია  
ამხსნელ თეორიას. ~~ზოგიერთი~~ „~~მისა~~“

წიგნმა მოთხოვს ული. იქნება ჰექსლის  
ბიოგრაფია და რამდენიმე სურათი.

